წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 22 ქრისტეშობისთვე 1915 წ. № 174

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე [illegible] უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1916 წ. „საქართველო“ 1916 წ.

უპრემიოდ ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 3 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მან., 1 მაისამდე 3 მან., 1 ენკენისთვემდე 2 მან.
ვინც 1 მარტამდე 9 მან. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

პრემიები:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული.
2) „საქართველოს“ ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ.
3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.
ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.
პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.
გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

მიიღება ხელის მოწერა

მიიღება ხელის მოწერა

პირველი წელი პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული

„მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მერანი“ უფასოდ დაურიგდებათ.

ჯეჯილი
საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა მეშვიდე წელიწადი
ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის
ჟურნალი „ჯეჯილი“
თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა 26 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.
ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.
რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

სტუდენტი-ფილოლოგი
პეტროგრადის უნივერსიტეტისა
ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისათვის. სპეციალად რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ლათინური ენა და მათემატიკა.
საჩქარო მომზადება პრაპორშჩიკების სკოლისათვის.
პირობის გაგება შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში.

ომის ამბები

ომის დეპეშები

20 ქრისტეშობისთვე.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი, 19 ქრისტეშობისთვე. დასავლეთის ფრონტი. რიგის ყურესთან მდ. პრიპატამდე მდგომარეობა უცვლელია. პრიპატის სამხრეთით ბრძოლა ძველებურის სიმძლავრით სწარმოებს. სარნის მიდამოებში და დაბა ჩარტორისკთან რუსები სტირის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ და დაიჭირეს სოფ. ხრიოსკი. მტრის სასტიკ კონტრიერიშებს არავითარი ნაყოფი მოუტანია მათთვის, რომ სტირის ისევ მარჯვენა ნაპირზე გადმოერეკათ რუსები. მილაშევის რაიონშიც მტრის ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. სად. ოლიკის ჩრდილოეთით რუსებმა წინ წაიწიეს და დამკვიდრდნენ დაჭერილს ადგილზე. მდ. სტრიპის ფრონტზე რუსებმა ორი წყება სანგრებისა დაიჭირეს. უსეჩკოს რაიონში რუსებმა მტერი დნესტრის მარცხენა ნაპირზე გადაჰრეკეს. დნესტრისა და რუმინეთის საზღვრის შუა რუსებმა მავთულიან ხლართს მიაღწიეს და აქ მოიმაგრეს ფეხი.

კავკასიის ფრონტი. სალამოთი 17 ქრისტეშობისთვე რუსის მზვერავები დაეცნენ ოსმალთა სადარაჯოს კარატაშის მთის კალთებზე, ხოროსნის სამხრეთით. ნაწილი დახოცეს თხრილების კარამდე ისე მოვიდნენ, აქ თხრილების საკომურში ყუმბარები ჩააგდეს. ცოცხლად გადარჩენილი ოსმალნი სცდილობდნენ გაქცევას, მაგრამ ყველანი ხიშტებით იქნენ ამოხოცილნი. ურმიის ტბის სამხრეთ რაიონში რუსებზე მტრის მრავალრიცხოვანმა რაზმმა იერიში მოიტანა. რუსებმა მიუნდაბუს ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახევინეს.

პეტროგრადი, 20 ქრისტეშობისთვე. დასავლეთის ფრონტი. რიგის ფრონტზე ბოლდონის შარა-გზის რაიონში საკმაოდ მკვირცხლი თოფის სროლა იყო, რომელშიც მონაწილეობას იღებდა გერმანელთა ჯავშნიანი ავტომობილი. იაკობშტადტის რაიონის სამხრეთ ნაწილში პოდუნაის მახლობლად მკვირცხლი სროლაა. პონევოჟეს რკინის გზის რაიონში გერმანელები რუსის თხრილებში ისროდნენ ყუმბარებსა და მწვავე სუნიან შუშხუნებს. დაბა ჩარტორისკის ჩრდილოეთით მტერმა ორჯელ იერიში მიიტანა ჩვენს სიმაგრეებზე, მაგრამ დიდის ზარალით უკუგდებულ იქმნა. ამასთანავე რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 1 აფიცერი და 70 ჯარისკაცი. მდ. სტრიპის ფრონტზე მტერმა რუსთა იერიშებს ვერ გაუძლო და გამაგრებულ პოზიციებისაკენ დაიხია. განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა ჩერნოვიცას ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში, სადაც რამდენიმე მწვერვალი აღებულ იქმნა. რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 15 აფიცერი და 855 ჯარისკაცი, 3 ტყვიის მფრქვეველი და 1 ყუმბარისმფრქვეველი.

კავკასიის ფრონტი. რუსის ცხენოსნები მოულოდნელად თავზე დაესხა ქურთთა რაზმს, რომელთაც ეპირათ კოპი, მეტი წილი ასჩეხა დანარჩენი კი გაჰფანტა. სპარსეთში რუსთა მიერ ქამადანის მიმართულებით სოფ. ზერუს აღების გარდა აღსანიშნავი არა არის რა.

პარიზი, 18 ქრისტეშობისთვე. სოლუნიდან იუწყებიან, მოკავშირეთა სამხედრო მთავრობამ გადასწყვიტა: თავიდან მოიშორონ გერმანელთა, ოსმალთა და ავსტრიელ-ბულგართა კონსულები, რომელნიც ვითომც გერმანელ მფრინავებს ხელმძღვანელობენ ყუმბარების ჩამოგდებაშიო. კონსულების ბინები გარშემორტყმულია ჯარებით. უბრძანეს მათ დაუყოვნებლივ დასტოვონ სოლუნი.

პარიზი,18 ქრისტეშობისთვე. მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს. ერთი ყუმბარა ჩამოვარდა ბერძენთა ესკადრონზე. მემკვიდრე ანდრიას წინ 50 მეტრის მანძილზე მოჰკლა მწყემსი. ზარალი დიდი არ არის. დარდანელში ჩვენმა ბატარეებმა დაასუსტეს მტრის აზიის სანაპიროები. ერთგან აფეთქდა წამლის საწყობი.

ლონდონი, 18 ქრისტეშ. ოსმალებმა მთელ ორი ღამის განმავლობაში ძლიერი თოფის სროლით იერიში მოიტანეს ქალ. კუტაზე, ტიგროსის მარცხენა ნაპირზე. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მტერმა ითხოვა ოთხი დღის ზავი, რათა დაჭრილ-დახოცილებს უპატრონონ. ყველა ეს მოხდა შობა ღამეს. მტკიცდება, რომ მტერს კტეზიფონთან ბრძოლაში ოსმალთ დიდი ზარალი მოსვლიათ. ინგლისელებს შობა დღის ბრძოლაში 671 მოუკლავთ და 309 დაუჭერიათ. მაშველი ჯარი აქეთ წამოსული გვიახლოვდება შესაერთებლად.

ლონდონი, 18 ქრისტეშ. სოლუნიდან იტყობინებიან, რომ გენერალმა სარაილმა დაატყვევა მტრის კონსულები. ამის შესახებ საბერძნეთს ეუწყა ყოველისფერი.

ლონდონი, 19 ქრისტ. გუშინღამ მტერმა 5 ნაღმი ააფეთქა ლოისის ჩრდილოეთით. ზარალი საგრძნობელი არ არის. გიუალიუკისა, ქივანშისა და არმანტიერის შუა საშინელი საარტილერიო სროლაა. ჩვენმა გაუბიცებმა მტრის პოზიციებს საგრძნობელი ზარალი მიაყენა.

ცეტინიე, 18 ქრისტ. ავსტრიელთა წყალქვეშა ნავებმა იერიში მიიტანეს იალქნიან ხომალდებზე ალბანეთის სანაპიროებზე. გუშინ მთაშაველთა სურსათით დატვირთული ხომალდი ჩასძირეს. დღეს კიდევ 2 ათას ტონის სურსათით დატვირთული ხომალდი სელნჯიოვანიდი მედუას მახლობლად ჩასძირეს.

სოლუნი, 20 ქრისტ. კონსულთა დაპატიმრების შემდეგ მათი ქვეშევრდომების დაცვა იკისრა შეერთებულ შტატების ელჩმა.

სოლუნში მოვიდა სერბელი მეფე, თავის შტაბით და მზათაა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს თავის ჯარების ნაშთთან ერთად.

ლონდონი, 19 ქრისტ. ლლოიდის სააგენტო იუწყება, რომ „ლარანდ ორიანტალის კომპანიის“ გემი „სპარსეთი“, რომელიც ბომბეიდან მოდიოდა, 17 ქრისტ. ჩაძირულ იქმნა. მგზავრთა მეტი ნაწილი დაიღუპა. მგზავრები რიცხვით 230 კაცი იყო. მათში ერია ამერიკელი ელჩიც. გემის კამანდა 300 კაცისგან შესდგებოდა. ფიქრობენ, 200 მეტი იქნება დაღუპულიო.

ცეტინიე, 19 ქრისტ. ჩრდილოეთის ფრონტზე სასტიკი საარტილერიო სროლაა. როჟაის მიმართულებით იერიში მივიტანეთ მტერზე. ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს ვლოკუ. როგავასთან უკან დავახევინეთ მტერს. ვლავის მიმართულებით ავსტრიელებმა აიღეს ბოჟიცევიჩი, სადაც მხოლოდ მცირეოდენი რაზმი იყო მთაშაველებისა. ყოველ მხრით მძაფრი ბრძოლაა.

ქაირი, 19 ქრისტ. 12 ქრისტ. ინგლისელთა ჯარებმა მტრის პოზიციები დაიჭირა მარსამატრუთის დასავლეთით. მტრის დახევა ისე სწრაფად მოხდა, რომ იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა აქლემები, თხები, სურსათი და სამხედრო მასალა, აგრეთვე დოკუმენტები გააფარ-ფაშასი. ინგლისელებმა ტყვედ წამოიყვანეს 82 კაცი, მტერს მოუკლეს 400 კაცი.

ათინა, 19 ქრისტ. ბერძენთა პროტესტზე მტრის ელჩთა დატყვევების შესახებ გენერალმა სარაილმა უპასუხა, მათი დატყვევება მოხდა მას შემდეგ, რაც გერმანელმა მფრინავებმა სოლუნში ყუმბარები ჩამოჰყარესო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის ასპარეზი

შობა დღეს

გერმანელებმა შობა დღე (მათი დროთ აღრიცხვა 16 დღით განსხვავდება ჩვენებურისაგან) საშინელი ზარბაზნის სროლით აღნიშნეს ბრძოლის ველზე. მდ. იკვაზე სოფ. პუგაჩევს უშენდნენ ზარბაზნებს. სროლამ შუადღემდე გასტანა. რუსებიც პასუხს აძლევდნენ.

დვინსკის მიდამოებში

ჰინდერბურგის აზრით დვინსკის მიდამოებში ეხლა შემოტევა არ შეიძლება, რადგან საკმაო ჯარი არა ჰყავსო—სწერენ გაზეთები. აქ პოზიციური ბრძოლა დაიწყება. საამისოდ სანგრებს საზამთროდ აწყობენ და სწრაფად ამაგრებენო.

ბალკანეთში

სტამბოლში

სტამბოლში მისულა გერმანელების ორი კორპუსის შტაბი. ეს კორპუსები მცირე აზიაში იგზავნება. ამ კორპუსების უფროსად დანიშნეს გენ. ეიხგორნი.

ახალი ჯარი

ოსმალეთის მთავრობას ჯარში გაჰყავს 17—55 წლის ჯანსაღი ხალხი.

რკინის გზის განახლება.

სალონიკიდან იუწყებიან: მოწინააღმდეგე გამალებული ხელ-ახლა აკეთებს იმ რკინის გზას, რომელიც სერბებმა და მისმა მოკავშირეებმა უკან დახევის დროს დაანგრიეს. მოწინააღმდეგის ჯარს უმთავრესად საბერძნეთის საზღვარზე მოუყრია თავი, სადაც მძიმე ზარბაზნებიც მოუტანიათ. თუ როგორ შეესევიან საბერძნეთს უკვე გამორკვეულია. საბერძნეთში პირველად შევლენ გერმანელები და ავსტრიელები, მათს შემდეგ ბულგარელები. როგორც ამბობენ ბრძოლას შობაზე ადრე ვერ დაიწყებენ.

სპარსეთში

ქაშანის აღება

რუსის ჯარმა ქაშანი აიღო. ყუმის კომიტეტი ისპაჰანიდან წავიდა, ხოლო არ იციან საით.

სპარსეთის ჯარის გაწვრთნა

სტამბოლიდან ცნობაა: სპარსეთის მეჯლისში ვანის პროექტი შეიტანეს, სწრაფად შემოიღონ სპარსეთში სამხედრო ბეგარა ევროპიულის წესით. განზრახვა აქვთ მოაგროვონ 75 ათასი ქვეითა და 50 ათასი ცხენოსანი.

ეგვიპტეში.

„კელნის გაზეთი“ იტყობინება, სუეცის არხის პირად ორივ მხარეს ასიათასობით მუშა ხელი გამალებული მუშაობს და არხის დასწვრივ 7 ადლის სიმაღლეზე სანგრებსა სთხრიან. ინგლისელებს ეგვიპტეში 250 ათასი მეომარისთვის მოუყრიათ თავი.

ვილჰელმის ბრძანება.

მიხაილოვსკი სწერს: ვილჰელმმა ბალკანეთში მყოფ ჯარს უბრძანა, საბერძნეთის მიჯნებს ნუ გადალახავთ და გენერალ სარაილის ჯარის დევნას თავი დაანებეთო.

სალონიკი.

გაზეთის აზრით მაკენზენი სალონიკის მიდამოებში ისეთ საქმეს ვერ მოაწყობს, რომ სედანის ამბავი განმეორდეს, რადგანაც ჯარის გადაყვან-გადმოყვანაზე გერმანელებმა დიდი დრო დაჰკარგეს და მოკავშირეებმა ამ დროს ამ მიდამოებში საკმაო ჯარის გადაყვანა მოახერხესო.

ვ. მიხაილოვსკის აზრი.

თუ სადმე შესაძლებელი ძლიერი შემოტევა ამ ზამთარს, მიხაილოვსკის აზრით, ეს რუსეთის დასავლეთი ასპარეზია, თუმცა ამ ასპარეზის ბუნებრივი მდებარეობა თავისთავად დიდს დაბრკოლებას წარმოადგენს.

თუ ჰინდენბურგს გადაწყვეტილი აქვს რიგასა და დვინსკთან შემოტევა დააცხროს, ალბად სტრატეგიულ მოგერიებას დაადგება ამ მიდამოებში.

ინგლისი და საბერძნეთი.

ინგლისელებმა დაიჭირეს მილოსის კუნძული და საბერძნეთის გემებს ახლო მიკარებაც აუკრძალეს.

მაკენზენი ჩერნოვიცაში

გენერალი მაკენზენი ჩერნოვიცაში ორი დღით ყოფილა, დაუხედნია ჯარისთვის და სიმაგრეები დაუთვალიერებია.

საბერძნეთი და ბულგარეთი.

კორიცის მახლობლად საბერძნეთის საზღვრები ბულგარელებმა გადალახეს. აქ საბერძნეთის რაზმებთან მოუხდათ შეტაკება. დაწვრილებით, ცნობები არ არის.

მოკავშირენი და საბერძნეთი.

მოკავშირეებმა საბერძნეთს მოსთხოვეს, შენი ჯარი გაიყვანე კავალიდანაო. საბერძნეთი პასუხს უგვიანებს.

სერბიელნი.

სერბეთიდან დაბრუნებულ პ. ს. პანიუტინის სიტყვით: ომის დაწყებისას მთელი სერბეთის ხალხი შეიარაღებული იყო. აქ ყოველი გიმნაზიელი ჯარის-კაცი იყო და ყოველი 65 წლის მოხუცი მეომარი. მთელი დოვლათი, ხალხი, იარაღი ძალ-ღონე და აღფრთოვანება სერბიელებმა თავისი ქვეყნის ბედსა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას უმსხვერპლეს.

სალონიკში.

სალონიკიდან ცნობაა: სალონიკში მყოფი ავსტრიისა და გერმანეთის კონსულები საფრთხეს გაერიდნენ და მონასტირში გადავიდნენო.

ზარალის ანაზღაურება.

გერმანეთმა საბერძნეთს მილიონ ნახევარი ფრანკით აუნაზღაურა, მეწამულ ზღვაში დაღუპულ გემ „ჰელესპონტის“ ზარალი. 75 ათასი გემის უფროსს გადასცა, დაშავების გამო.

მესოპოტამიაში.

მდ. ტიგროსზე კუტთან ინგლისის ჯარს, რომელსაც გენერალი ტოუნსენდი ჰსარდლობს, ოსმალებმა კიდევ გაუწყვიტეს ჯარი, სულ 900 მეომარი მოჰკლეს.

უკანასკნელი ფოსტა

გალიციის ასპარეზი.

ვეროვი სწერს: გალიციის ასპარეზზე დიდძალი ჯარი გადმოუყვანიათ ბრესტისა, კოველისა და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზებიდან. აქ მოპირდაპირემ დიდძალ ზარბაზნებით, უმეტესად მძიმე ზარბაზნებით დაიწყო შემოტევა. გალიციაში დაწყებული ეხლანდელი ბრძოლა გაზაფხულზე მომხდარ ბრძოლას ემსგავსება. ეტყობა, რომ მოპირდაპირეს აქ ჯარის გარდა დიდძალი ყუმბარები და ტყვია-წამალი დაუგროვებია.

ჰინდენბურგი და მაკენზენი.

ნეიტრალ სახელმწიფოების გაზეთები გადმოგვცემენ:

ჰინდენბურგი საფრანგეთის ასპარეზზე გაემგზავრა და აქ შეტევის განახლებას შეუდგებაო.

მაკენზენი ბულგარეთში თავისი შტაბით მივიდა და პლევნაში დაბანაკდა. ბულგარელების სამი დივიზია, 80 ათასი მეომარი, დასავლეთის ასპარეზზე გადაიყვანესო.

ასეთს ცნობებსაო, სწერს „რ. უ.“, გერმანელები განზრახ ავრცელებენ გზა-კვალის ასარევად. ნამდვილად კი ჰინდენბურგი ადგილიდან არ დაძრულა და რიგა-დვინის მიდამოებში ზამთრის მოქმედებისათვის ემზადება.

მაკენზენიც არსად წასულა. იგი რუმინეთის ჩრდილოეთით არის დაბანაკებული. რუმინეთის სამხრეთით ბულგარელებს 80 ათასი მეომარი ჰყავთ, ჩრდილოეთით კი მაკენზენი სდგას თავისი ძლიერი ჯარით. აგრეთვე ძლიერი გერმანელების ჯარი სდგას რუმინეთის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ასე რომ რუმინეთი სამი მხრით შემორტყმულია.

კაფე თოფხანებში.

გერმანელებს ოსმალებისათვის თოფხანებში მოუწყვიათ გერმანული კაფე, მშვენიერი ბაღით. კაფეში „გებენის“ ორკესტრი კვირაში ორჯელ კონცერტსა ჰმართავს, თურმე.

ვილჰელმი სტრიპაზე.

მდ. სტრიპაზე დაბანაკებულ ჯარს ვილჰელმმა შობის წინა დღეს დაჰხედა. იგი ლვოვიდან წამოსულა. გაზეთების აზრით, ამ სტუმრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მომასწავებელია, რომ ამ მიდამოებში ბრძოლა გაცხოველდება.

ბულგარეთის ახალი ჯარი.

ბულგარეთი ახალ ჯარს ადგენს 150 ათასი მეომრიდან. ამ ჯარში იქნებიან დაპყრობილ სერბეთიდან გაყვანილი ჯარის კაცნიც. მათ ავსტრიულ „ვინტოვკებით“ შეაიარაღებენ.

მილიონ-ნახევარი მეომარი.

„რეჩ“-ი იტყობინება: მდ. პრიპიატის სამხრეთით მოპირდაპირეებს მილიონნახევარი მეომარი ჭადრაკულად უდგათ (შახმატის წესზე). ამ ჯარს სარდლობს მაკენზენი და პფლანცერი.

რკინის გზის განახლება.

გერმანელებმა უკვე განაახლეს რკინის გზა ბელოსტოკ-ვარშავისა, რომელიც გაივლის ლაპის, მალკინს და ტლუშჩას. ამ გზით მხოლოდ სამხედრო სურსათი გადააქვთ და ჯარი გადაჰყავთ.

ბრესტ-ლიტოვსკს ამაგრებენ.

გერმანელები საჩქაროთ ამაგრებენ ბრესტ-ლიტოვსკს. „ბ. ვ.“-ის აზრით, ეს სიმაგრე გერმანელებს მაინც არ გამოადგებათ, რადგანაც ისე იყო რუსებისაგან მოწყობილი, რომ მოეგერებინა მტერი დასავლეთისა, სამხრეთისა და ჩრდილოეთით შემოსეული.

ბრძოლის ველზე

რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე ბრძოლა თან და თან ფართოვდება და უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებს. მოპირდაპირეთა მთავარი შეხლა ჯერ-ჯერობით მდ. პრიპეტის სამხრეთით სწარმოებს, დაბა ჩარტორისკსა და კოველ-სარნის რკინის გზას შორის. აქ რუსებს დაუბრუნებიათ სოფელი ხრიასკი, რომელიც ამ ერთი თვე ნახევრის წინ გერმანელებმა დაიჭირეს.

გერმანელებმა იერიშები მოიტანეს აგრეთვე მილაშევის რაიონში, დაბა კოლკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ცხარე და შეუწყვეტელი შეტაკება ხდება გალიციაშიც, მდ. სტრიპას რაიონში რუსებმა დაიჭირეს ორი რიგი სიმაგრე. გალიციის ფრონტის სამხრეთის განაპირა პუნქტთან, უსეჩკოს რაიონში რუსებმა მოპირდაპირენი მდ. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე გადარეკეს. შეტაკებები ხდება დნესტრსა და რუმინეთის საზღვრებ შორის.

21 ქრისტეშობისთვის დეპეშის ცნობით, ბრძოლას განსაკუთრებული მწვავე ხასიათი მიუღია ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონში, სადაც რუსებს რამოდენიმე სიმაღლე დაუჭერიათ და ტყვედ წამოუყვანიათ 15 აფიცერი და 855 ჯარისკაცი, 3 ტყვიის მფრქვეველით და ერთი ყუმბარის მსროლელით. რიგის რაიონში გერმანელებმა ბრძოლის ველზე ჯავშნიანი ავტომობილებიც გამოიყვანეს.

კავკასიის ბრძოლის პირზე ალაგ-ალაგ ძლიერი და მოკლე-მოკლე შეტაკება ხდება. ურმიის ტბის სამხრეთით, რუსები ვერ გაუმკლავდნენ ოსმალ-ქურთთა ძლიერ შემოტევას, სოფელ ინდერკაშის უღელტეხილთან. დასტოვეს თავიანთი პოზიციები და მიანდაბუსკენ დაიხიეს.

საბერძნეთში პოლიტიკური მდგომარეობა მწვავდება. გენერალ სარაილის ბრძანებით სალონიკში დააპატიმრეს გერმანეთ-ოსმალეთ-ბულგარეთის ელჩები, რამაც დიდი პროტესტი გამოიწვია საბერძნეთის მთავრობის მხრივ.

მეგრი.

თბილისი, 22 ქრისტეშობისთვე.

სავალდებულო პოზიცია. თბილისის ქალაქის არჩევნებს რამოდენიმე წერილი უძღვენით. ამ წერილებში წამოვაყენეთ რამდენიმე დებულება, რომელიც სახელმძღვანელო იდეა უნდა ყოფილიყო ყოველი ქართველი ამომრჩევლისა. არც ერთი დებულება არ იქმნა დარღვეული ჩვენი მოპირდაპირეთაგან. ესენი დაკმაყოფილდნენ თავიანთი საარჩევნო პრინციპის წამოყენებით. მათ პრინციპს არავითარი raison d'être-ი არ აქვს და არც არის იმპერიოზულად სავალდებულო ქართველი ამომრჩევლისათვის, რომელიც **თბილისის** საარჩევნო ყუთთან უწინარეს ყოვლისა უნდა მივიდეს როგორც **ქართველი** და არა როგორც მარტო თბილისის მკვიდრი. ვინც რეალ პირობებს ანგარიშს უწევს და ვინც სწორედ ამ პირობათა კრიტიკული ანალიზის ბრძანებით და რჩევით ითვალისწინებს ყოველ დღიურ პრაქტიკულ მოქმედების გეგმას და არა ერთხელ აღებულ პრინციპის მიხედვით, რომელი პრინციპიც შეუძლებელია ყოველ დროსა და გარემოში ერთნაირად გამოსადეგი და უცოდველი იყოს, მას უნდა გაეზიარებინა ჩვენგან პოწამოყენებული დებულებანი და ჩვენი პოზიცია დაეცვა.

თბილისის არჩევნებში პირველი ეტაპი ეროვნული ეტაპია. თბილისის **განსაკუთრებული** მდგომარეობა და აქაური თვითმართველობის აწინდელი შემადგენლობა ამას მოითხოვს. არც ერთი სოციალისტური პარტია, თუ გონიერებისა და ჩვენი პლანეტის ლოღიკის ფარგალში დარჩება, ვერ უარყოფს ქართველისათვის ეროვნულ მომენტის პირველობას. **ქ. თბილისში.** ეს ეროვნული პრინციპი დღევანდელს ქალაქის თვითმართველობაში უტიფრად გათელილია.

ისეთი საარჩევნო წესი შეფობს, რომ არც ერთ საარჩევნო უბანში ქართველი ამომრჩეველი თავის კანდიდატს ვერ გაიყვანს. ასე რომ 1413 ცენზიანი ქართველის ხმა, რომელიც საერთო ხმის $^1/_5$-ს შეადგენს, როგორც ეროვნული ხმა სრულიად დაკარგულია და გაბათილებული. ეს ამდენი ცენზიანი ქართველობა ქალაქის თვითმართველობაში **წარმოდგენილი** არ არის. ხმოსანთა შესაფერი რიცხვი მას არა ჰყავს და ვერც ვერასოდეს ეყოლება, თუ საარჩევნო უბანთა დღევანდელი რაოდენობა დარჩა და არ იქმნა აღიარებული პრინციპი ეროვნული პროპორციულობისა. 3404 სომეხი ამომრჩეველი ყოველთვის იბატონებს საერთო 7165 საარჩევნო ხმაზე. 3404 სომეხი ამომრჩეველი დღევანდელს წესებში ყოველთვის მოჰკლავს დანარჩენ 3761 არა-სომეხს, გარდა ერთი-ორი უბნისა. ამ უსამართლობის მოსპობა მოვითხოვეთ არა ჰუმანიურობის ნიადაგზე, რომ სომხებს ქართველი ხმოსნები გაეყვანათ სწორედ იმდენი, რამდენიც შეეფერებოდა ქართველ ამომრჩეველთა საერთო რიცხვს. მოწყალების გამოთხოვით მოქმედება ჩვენი წესი არ არის და სომეხ ამომრჩევლის გუნება არავითარ გარანტიას არ იძლევა იმისას რომ ქართველობას სათანადო ხმა მიეცემა ქალაქის თვითმართველობაში. ჩვენ მოვითხოვეთ ამ უსამართლობის მოსპობა ეროვნულ უფლების დაცვის ნიადაგზე, მოვითხოვეთ საარჩევნო უბანთა გამრავლება, წამოვაყენეთ ეროვნული პროპორციულობის პრინციპი. ეს ჩვენი მოთხოვნა, ეს ჩვენი პრინციპი ჯერ ქალაქის სომხურმა თვითმართველობამ დაჰგმო და გათელა: დაადგინა, დარჩენილიყო ძველებურად შვიდი უბანი. მერე ეს დადგენილება ადგილობრივმა მთავრობამ დაადასტურა. ამნაირად, ერთად-ერთი სამართლიანი საშუალება, ერთად-ერთი სამართლიანი პრინციპი არ შეიწყნარეს. მას **ყოველგან** კარი დახშული დაუხვდა. ქართველთა ეროვნულ-პროპორციული მონაწილეობა ქალაქის თვითმართველობაში ძველებურად შეუძლებელი გახდა. ქართველთა 1413 ამომრჩეველი ხმა ვერც ერთს უბანში თავის ხმოსანს ვერ გაიყვანს! და თუ ვინმე გავიდა, ის გაყვანილი იქნება სომეხთა ხმებისაგან, მოწყალების ნიადაგზე, იმ ერთად ერთის მოსაზრებით რომ შეიძლებოდეს თქმა, სომეხი ამომრჩევლები ეროვნებას ყურადღებას არ აქცევენ, დახეთ ქალაქის თვითმართველობაში ქართველებიც სხედან, თუმცა არსებულის წესით ისინი ვერსად ვერ გავიდოდნენ.

ამ გვარად, კანონის ნიადაგზე და დღევანდელი საარჩევნო წესით ქართველობა ქალაქის თვითმართველობაში ვერ შედის. მოვითხოვეთ, რომ ეს ასე არ ყოფილიყო, მოვითხოვეთ ეროვნული პრინციპი შემოეღოთ; ერთ საშვალებად უბანთა გამრავლება დავასახელეთ. **სომხურმა თვითმართველობამ და მთავრობამ ეს არ შეიწყნარა.** ქართველობა კანონით გამორიცხულია ქალაქის თვითმართველობიდან; იგი ქალაქის საქმეებში მონაწილეობას ვერ ღებულობს.

ასეთია ფაქტიური ვითარება. მისი აშკარა უსამართლობა ყველასათვის ცხადია, იგი შექმნილია საარჩევნო კანონის წესით. მას კანონი იცავს და ზურგს უმაგრებს. ქართველობამ უნდა ყურად იღოს და შეიგნოს, რომ იგი ფაქტიურად და ლეგალად გამორიყულა თბილისის თვითმართველობიდან, რომ მას წილი არ უდევს ქალაქის საქმეში. თავისუფალი ფაქტიურ მონაწილეობისაგან, იგი თავისუფალი უნდა აგრეთვეიყოს ყოველგვარ ზნეობრივ მოვალეობისა და პასუხისმგებლობისაგან, რაც შეეხება ქალაქის საქმეებს. რადგანაც თბილისის ქართველობა, როგორც ეროვნული ერთეული, თვითმართველობაში წარმოდგენილი არ არის მთელის თავის ნაირ-ნაირ სოციალი სახიერებით და ვერც იქნება წარმოდგენილი დღევანდელი წესის თანახმად, ამიტომაც იგი **ეროვნულად ვალდებულია** არ გაინაწილოს თბილისის თვითმართველობის არც ერთი მოქმედება, არც ერთი პოლიტიკა და არც ერთი ზნეობა. თბილისის თვითმართველობისაგან ფაქტიური, იძულებითი ჩამოშორება გვავალებს ზნეობრივ-იურიდიულადაც ჩამოვშორდეთ მას და პასუხი არ ვაგოთ არც ერთ მის მოქმედებაზე. თვითმართველობის ავი და კარგი—მისმა შემადგენლობამ უნდა ზიდოს. **არც ერთი ქართველი ხმოსანი არ უნდა შევიდეს მოწყალების მეოხებით, ქალაქის თვითმართველობაში, არც ერთმა ქართველმა ამომრჩეველმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ქალაქის არჩევნებში.** ქართველობამ არჩევნებს სრული ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს. არჩევნების დღეს ქართველმა ამომრჩევლებმა საარჩევნო ყუთთან მისვლის მაგიერ უნდა მიაშურონ იმ დარბაზს, სადაც დანიშნული იქნება ქართველ ამომრჩეველთა კრება. ეს არის ქართველი ამომრჩევლის ერთად ერთი სავალდებულო პოზიცია მომავალ არჩევნების მიმართ. და ყოველი შეგნებული თბილისის ქართველი მოქალაქე ასეც მოიქცევა!

რუსული პრესა

თავდაპირველადვე შეუდგა თუ არა მოვალეობის ასრულებას შინაგან საქმეთა მინისტრი ხვოსტოვი, შეეცადა თავის სამოქმედო ასპარეზის გაფართოვებას.

ჯერ პრესის წარმომადგენელთან ბაასის დროს ისეთ საქმეებს შეეხო, რომლებიც სრულიად მათს კომპეტენციას არ შეადგენდნენ. მანვე მიითვისა გზათა მინისტრის ფუნქციები და გაემგზავრა მოსკოვში იქაურ სადგურებზედ ვაგონების მოსაწესრიგებლად. ახლა განუზრახავს ახალი ინსტრუქციის შექმნა, რომელმაც უნდა განაგოს დაზარალებულთა დახმარება. „რუსკი ვედ.“-ი ეხება ხვოსტოვის მოქმედებას და სწერს:

უფრო საკვირველია ხვოსტოვის ახალი განზრახვა. მინისტრს საკითხი აღუძრავს, რომ მას ნება დართონ იმგვარ საქმეების გასინჯვა, რომლებსაც მხოლოდ ხელმწიფე იმპერატორს მოახსენებენ ხოლმე. თუ ეს ცნობა მართალია სჩანს აზრად აქვს ზოგიერთა უმაღლეს მართველობის ფუნქციები სხვა და სხვა სამინისტროს გადასცეს. ამგვარ რეფორმის განხორციელება-კი შეიძლება მხოლოდ ძირითად კანონების მე-10 მუხლის ძალით. ე. ი. მხოლოდ კანონმდებლობითი გზით.

ამ გვარ რეფორმის საჭიროებას უარჰყოფს გაზეთი, რადგან არავითარი პრაქტიკული შედეგის მოტანა არ შეუძლიან. იგი მხოლოდ სრულიად აურდაურევს იმ ერთსულოვან განწყობილებას, რომელიც ახლა სუფევს სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა შორის.

ახალი ამბავი

◆ **ქართულ სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს ახალ წევრთა არჩევნები დასრულდა. საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი, უკენჭოდ. ხოლო საბჭოს წევრებად ბარათებით არჩეულ იქმნენ: ს. ნ. ყაზახაშვილი, ს. ი. ხუნდაძე, პ. გ. მელია, ე. ო. იოსელიანი, თ-დი ლ. ნ. დიასამიძე, დ. ქ. ჩხეიძე, ა. ქ. კორინთელი, ა. თ. ყიფშიძე, პ. გ. მამრაძე, ვ. ი. რცხილაძე და დ. ქ. გრიგოლია. კანდიდატებად თ-დი დ. ვ. ვაჩნაძე, დ. ლ. თულაშვილი და ბ. დგებუაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად თ-დი ვლ. დ. ვაჩნაძე, მ. დ. ქურული, რევ. გაბაშვილი და ესტ. ავალიშვილი.

◆ **ბესარაბიის სამღვდელოების დეპეშა.** სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა დეკ. მ. ტყემალაძემ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ბესარაბიის სამღვდელოებისაგან:

„ბესარაბიის სამღვდელოება ემშვიდობება რა დიდათ საყვარელ მეუფე პლატონს, რომელმაც მოხიბლა ბესარაბიელთა გულნი, ულოცავს საქართველოს საექსარხოსოს სამღვდელოებას, რომელსაც ბედნიერება ექნება მსახურებისა ისეთ გულწრფელად ყველასაგან მოყვარულ, მეუფესთან როგორიც მათი მეუფება პლატონია“.

◆ **გადამდები სენი.** გუშინ, 12 ქრისტეშობისთვეს, ქალაქის საავადმყოფოში იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 2, ქუნთრუშიანი 147, სახადიანი 28, ხუნაგიანი 18 და ყვავილიანი 3 კაცი.

◆ **სურსათი.** 19 ამა თვეს შემოვიდა თბილისში; ფქვილი 19 ვაგ. ხილი 1 ვაგ. ღვინო 4 ვაგ. შეშა 5 ვაგ. ანტრაციტი 5 ვაგ. ხე-ტყე 3 ვაგ. ნავთი 1 ვაგ. ლობიო 206 ფუთი, კარაქი 22 ფუთი, ქონი 61 ფუთი.

◆ **ნესტორიანთა პატრიარქის მოსვლა.** თბილისში დღეს დილით მოელიან მათ უწმინდესობას ნესტორიანთა პატრიარქს და აისორ ხალხის უფროსს მარში-მუნნს.

◆ **სამადლობელი დეპეშა.** ახალ ექსარხოსის პლატონისაგან სამადლობელი დეპეშა მიიღეს ეპისკოპოსებმა ანტონიმ, პიროსმა და ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარმა დეკ. ნიკიტა თალაქვაძემ.

◆ **თბილის-კავკავის გზატკეცილზე** მიმოსვლა და საქონლის გადმოტანა გაცხოველდა, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, როცა ვაგონების შოვნა საქონლის გადმოსაზიდად ასე ძნელია. კვირას, 20 ამა თვეს, 20 ურემი მარტო სახვევ ქაღალდით დატვირთული ჩამოვიდა ამ გზით.

◆ **თათბირი სოფლად.** 20 ამა თვეს მცხეთაში თათბირი გამართა საერობო აგრონომმა ბ-ნმა დალაქიშვილმა. თათბირი ეხებოდა სააგრონომო დახმარებას და კოოპერატივის მნიშვნელობას სოფლისათვის, თათბირს ბლომა ხალხი დაესწრო.

◆ **გაჭირვება სოფლად.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სენაკის განყოფილება სწერს საზოგადოების მთავარ გამგეობას: თქვენ მიერ გამოგზავნილი 500 მანეთი წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის ისე მცირეა, რომ ამ ფულის განაწილებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, იმდენად აუარებელია დაზარალებულთა რიცხვი. მაშინაც-კი, როდესაც დასახმარებელ პირთა ნორმად მივიღეთ მხოლოდ ქვრივ-ობლები, და მათ შორის სრულიად უმწეო მდგომარეობაში მყოფნი, აღმოჩნდა, რომ ამ მხრივაც დახმარება სრულიად უმნიშვნელოა. ამგვარი მდგომარეობა გვაიძულებს ისევ მოგმართოთ თხოვნით მეტ დახმარებისთვის. ვიმეორებთ, რომ ფული დაურიგდებათ სრულიად უმწეო ქვრივ-ობლებს, და არა სხვა დაზარალებულ ოჯახებს, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მათი სარჩო-საბადებელი წყალმა წაიღო, მუშა ხელი მაინც შერჩათ.

◆ **ილიასეული მამული.** როგორც გავიგეთ, თბილისში შემდგარა ქართველ ახალგაზდა აგრონომთა ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს იჯარით აიღოს ილიასეული საგურამოს მამული.

◆ **ქალაქის ლომბარდი.** ქალაქის ლომბარდს ჰქონია წარსულ წელში შემოსავალი 46.978 მან. 91 კაპ., გასავალი 29.939 მან. 35 წ.; მიმდინარე წლის თერთმეტი თვის განმავლობაში ჰქონია შემოსავალი 54.853 მან. 08 კ., გასავალი 29.619 მან. 79 კ.

◆ **გადმოხვეწილთა დახმარება.** იმ 30 ათასი მანეთიდან, რომელიც ბ-ნმა ი. მანთაშევმა გამოუგზავნა ქალაქთა კავშირის ბიუროს გადმოხვეწილ სომეხთა სასარგებლოდ, ბიუროს თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი აპირებს, 5,000 მანეთი მისცეს კავკასიელ ქალთა ქართულ სექციის სახელოსნოს, ხელფასად გადმოხვეწილთათვის საბნების შეკერვაში.

◆ **მცხეთის** მომხმარებელმა საზოგადოებამ ბინა დაიქირავა და ამ დღესასწაულებზე გამართავს ვაჭრობას. ჯერ-ჯერობით კი საზოგადოებამ ადგილობრივ წვრილ საკრედიტო ამხანაგობის შემწეობით გამოიწერა 1 ვაგონი ფქვილი და ჰყიდის მხოლოდ თავის წევრებზე.

◆ **კრების გადადება.** 20 ამა თვეს წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, მომხმარებელ ამხანაგობის „ალორძინების“ წევრთა საგანგებო კრება არ შესდგა, რომელსაც უნდა განეხილა გამგეობის მოხსენება ამხანაგობის სავაჭრო ოპერაციების გაფართოების შესახებ.

◆ **შემოწირულება.** ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალო სკოლის სახლის ასაშენებელ ფონდისთვის შემოსწირა ფილიპე დიმიტრის ძე გოგელიამ ათი თუმანი, რისთვისაც ზემოხსენებული სკოლის გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველს.

◆ **კონცერტი.** დღეს ხარფუხის კლუბის დარბაზში გაიმართება კონცერტი კომპოზიტორ დავიდოვსკის გუნდისა დავიდოვსკის მონაწილეობით, ფართო და საინტერესო პროგრამით: რუსულს, ქართულს, სომხურს და თათრულ ენაზედ შესრულებული იქნება სიმღერები.

◆ შაბათს, ხარფუხის კლუბში, ვაჟას საღამომ კარგად ჩაიარა. ხალხი აუარებელი დაესწრო. შემოსავალი, როგორც გადმოგვცეს, 800 მანათს გადააჭარბებს.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში.** ამ ახლო ხანში საზოგადოების საჯარო სხდომაზე ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „თანამედროვე სარწმუნოებრივი მდგომარეობა ქართველ ერისა“.

ეს მოხსენება წაკითხულ იქმნა ქუთაისში გამართულ სასულიერო კონცერტის შესავალში, რომელმაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია.

◆ რედაქციამ მიიღო ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მიერ გამოცემული **ლია ბარათი**, რომელზედაც მოთავსებულია სურათი ვაჟა-ფშაველასა და ქართველ მოღვაწეთა აგარაკისა. ბარათების გაყიდვისაგან შემოსული ფული ქართველ მოღვაწეთა აგარაკის თანხას მიემატება.

◆ **დუტუ მეგრელს** ახალი ორიგინალური პოემა „პრომეთე“ დაუმთავრებია.

◆ რედაქციამ მიიღო „სასოფლო გაზეთი“-ს მე № 20.

◆ რედაქციამ მიიღო **ი. აბულაძის** შედგენილი წიგნი. შესწორებანი და შენიშვნანი „ვეფხის ტყაოსნის“ 22-ე გამოცემის შესახებ კრიტიკული ტექსტის რამოდენიმე ნიმუშით. **სერია პირველი.**

◆ **„განათლების“** საზოგადოების გამგეობამ დიდი მადლობით მიიღო ერთ საპატიო მანდილოსნისაგან, (სახელსა და გვარს მის თხოვნისამებრ არ ვაცხადებთ) **ათთუმნიანი** სახელმწიფო საგლეხო ბანკის ბილეთი და დაადგინა ეს შემოწირულება მიემატოს განათლების საზოგადოების თანხას.

◆ **გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.** ნაახალწლევს მთელ საქართველოში და რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქებში დაიწყება ხელის მოწერა გ. ტაბიძის ლექსების მეორე ტომზე რომელშიდაც მოთავსებული იქნება მრავალი ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ლექსი. ერთი წლის წინად დაბეჭდილი პირველი ტომის 3,000 ეგზემპლიარი მოკლე ხნის განმავლობაში თითქმის სრულიად გაიყიდა.

◆ **ახალი ჟურნალი.** სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ გამოსცა ყოველკვირეული ჟურნალი „ამბავაბერ“.

◆ **წარჩინება.** თ. ჩხოტუას ბრძოლის ველზე თავგანწირულად მოქმედებისთვის ებოძა როტმისტრობა. წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ჯვარი და ხმალ-ბანტით ებოძა პორუჩიკ გველესიანს. წმ. ანნას მესამე ხარისხის ჯვრით და ხმალ-ბანტით დააჯილდოვეს: ის. ნოზაძე, კირ. შელიძე და დათა ქიქოძე.

ქუთაისი

22 ქრისტეშობისთვეს ქართულ გიმნაზიაში მერვე კლასის მოწაფეები მართავენ დრამატიულ-სალიტერატურო საღამოს. თვით მოწაფეები წარმოადგენენ „აშენდა საქართველო“-ს. მოწაფეებს ხსენებულ სასწავლებელში 19 ქრისტეშობისთვეს დაითხოვენ.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით ქუთაისის გუბერნატორმა მიიღო 507,027 მანეთი. ამ თანხით დახმარება უნდა აღმოუჩინონ სოფლებში იმ ოჯახებს, საიდანაც გაწვეულნი არიან ჯარისკაცები. ეს ფული დახმარებათ დაურიგდებათ ამ წლის 1 ქრისტეშობისთვიდან მომავალი წლის 1 მარტამდე.

— 27 ქრისტეშობისთვეს ქუთაისში მოხდება შეერთებული კრება მომხმარებელი საზოგადოების საგუბერნიო მყიდველი ბიუროსი, და წვრილი კრედიტის საგუბერნიო მყიდველი ბიუროსი, საერთო სასურსათო კომისიის ასარჩევად. ხსენებულმა საზოგადოებებმა დაადგინეს შეერთდენ და დასავლეთ საქართველოს ცხოვრებითა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ერთად იზრუნონ.

— ქუთაისის ქალაქის გამგეობის მეორე წევრის არჩევა მოხდება 21 ქრისტეშობისთვეს.

— ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა და მიწათა სამმართველოს მოსამსახურეებს ქუთაისში ჯარში გაწვეულთა დამხმარე კომიტეტის დაარსებიდან ამ კომიტეტისათვის შეუწირავთ თავის ჯამაგირებიდან 9361 მან. და 34 კაპ.

— ქუთაისის ქალთა წრე ამზადებს სადღესასწაულო საჩუქრებს კავკასიის ჯარის-კაცებისათვის.

— როგორც იმერეთის სხვა და სხვა სოფლემიდან გვატყობინებენ, თბილი ამინდების გამო ხეხილს ყვავილი გამოუღია. თუ ასეთი ამინდები გაგრძელდა, ხეები კიდეც შეიმოსება, შემდეგ კი ყინვები მოუსწრებს და ყველაფერს მოსწვავს.

— ამ ახლო მომავალში ქუთაისში მოხდება იმერეთის სამღვდელოების წლიური კრება.

ქ. სოხუმი.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შეატყობინა სოხუმის ქალაქის მოურავს თავ. ნ. თავდგირიძეს, რომ ამ მოკლე ხანში პეტროგრადიდან სოხუმში გაგზავნილი იქნება სპეციალისტი მკვლევარი გოგირდის წყლის ეგრედ წოდებულ „ვენეციის წყაროს გამოსაკვლევათ.

— სოხუმის ქალაქის თვითმართველობაში რამდენიმე ხმოსანმა წინადადება შეიტანა, ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფ ა. დ. მაჭავარიანს, რომელიც ათი წელიწადი მსახურებდა როგორც ქალაქის თავის მოადგილე,— მიეცეს ერთდროული დახმარება.

თელავი.

აქ არსდება საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება. წინასწარი კრება უკვე მოხდა. საბოლოოდ საკითხის გადასაწყვეტად ელიან ცნობებს თბილისის მთავარ განყოფილებიდან.

სოციალისტური აზროვნების შედეგები

I

ყველანი ვგრძნობთ, რომ არაჩვეულებრივ დროში ვცხოვრობთ, რომ ჩვენს გარშემო თითქმის ყოველ დღე იცვლება სახელმწიფოთა და ხალხთა მდგომარეობა. საერთო გარეშე პირობები, რომლებიც უკანასკნელ ინსტანციაში თვით ჩვენი ბედის გადამჭრელიც იქნება, მოითხოვს მთელი ქართველი შეგნებული საზოგადოებისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას და დიდს სერიოზულ წინასწარ პსიხოლოგიურ და ნივთიერ მომზადებას. ვხედავთ უაღრესად ჭკუის მასწავლებელ მაგალითებს იმ ერთა ცხოვრებაში, რომლებიც ჩვენსავით ან და ჩვენზედ უფრო ჩათრეული არიან დღევანდელს კატასტროფაში. ჯერ არის და ყოველგან უძლევი ტახტი განიმტკიცა ეროვნულმა ერთსულოვნობამ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ერის ყველა კლასი, ყველა წოდება და ყველა პარტია დღეს ერთნაირად გრძნობს საერთო კარდინალ საკითხს და ერთნაირად დაინტერესებულია, თავისი სამშობლო იარაღით დაიცვას; ყველა ერთნაირად ცდილობს მტერს არაფერი გაატანოს, ცდილობს რაც შეიძლება მეტი დააკლოს მას, რაც შეიძლება დაასუსტოს იგი, რომ შემდეგში მაინც, რაც შეიძლება ნაკლები ხიფათი, მოელოდეს მისგან. მთელმა ერებმა თავ-თავისი მიზანი დაისახეს და უდრტვინველად ეწირვებიან მსხვერპლად ეროვნული არსებობის უზენაესს აზრს. ამ ქვეყნის რღვევის დროსა ყოველი მამულიშვილის სიცოცხლის აზრად გადაიქცა დაცვა და შენარჩუნება უზენაესის ხელშეუხებელის საკუთრებისა, ეროვნულ თავისუფლებისა და ეროვნული მიწა-წყლის მთლიანობისა. არსად კამათი არ არის იმის შესახებ, თუ როგორ გაამართლონ ისტორიული ბოროტებანი და დანაშაულობანი, რომელნიც, მისთვის მიუყენებიათ და რომელთაგან დღესაც სულით და ხორცით იტანჯება იგი. გარეშე ძალთა ძალა-დაუტანებლივ, თავის თავად, საკუთარის შინაგანის აღძვრით, პირადის ეროვნულის ინიციატივით არსად არ იწერება თავის მოკვლის განაჩენი, არსად არ ითხზება გეგმა, თუ ერმა რა გზით და ხერხით შეიკუმშოს თავისი თავი, თუ როგორ ჩამოსჭრას მან თავის მიწა-წყალს მთელი ერთი მეექვსედი (ბორჩალოს მაზრა+ახალციხის+ახალქალაქ.=10.775 ოთხ. კუთხედი ვერსს.) უბრძოლველად, სისხლის დაუღვრელად; არსად არ იწერება დანაშაულობით აღსავსე უბადრუკი ფილოსოფია, თუ რატომ და რისთვის უნდა აიღოს ხელი ერმა თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე, რატომ უნდა უმტროს თავის თავს და აბათილოს თავისი პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნის საფუძვლები და საბუთები!

ყოველგან ვხედავთ სულ საწინააღმდეგო პროცესს. ტერიტორიული სხეულის მთლიანობა და ხელშეუხებლობა და, საცა ჰხამს, ერის უზენაესი უფლებით აღდგენა,—**უკამათოდ უდავოდ** მიღებული აზრია მამულიშვილის მოქმედებისა; ერთიცა და მეორეც მსჯელობის გარეშე გამოცხადებული კატეგორიაა. თავის თავად, საკუთარის სულის მოთხოვნილების ძალით სხვაგან არც ერთს სთმობენ და არც მეორეს.; არსად ერთ მტკაველ მიწას არ იძლევიან. ყოველგან მეუფეობს დაუცნობელი თვითარსებობის საღი ინსტიქტი, ფიზიკური გაზრდა-გამრავლების ცხოველმყოფელი ჟინი და შეგნებული მამულიშვილის თავდადება პოლიტიკური ავტონომია—თავისუფლებისათვის. ყოველგან მუშაობს და მოქმედებს ექსპონსიური პსიხოლოგიის შემოქმედი პრაქტიკა. ასე ყოფილა ყოველგან ყოველთვის. ხოლო დღეს ეს კიდევ უფრო გამოჩენილად ხდება. ყველა ამის დამამტკიცებელი ახალ-ახალი საბუთები მარად დღეს მოაქვს ჩვენში უცხო ხალხთა ყოველდღიურ ცხოვრების ქრონიკას. ამას ვხედავთ, ამას ვკითხულობთ, ამას ვგრძნობთ, მაგრამ ასე **ვერ ვიქცევით**. ჩვენი საზოგადოების ნაღრძობი ტვინი და გრძნობა მაინც ვერ გამოსწორდა!

ამნაირად უცხოთა მაგალითმა და პსიხოლოგიამ ჩვენზე თავისი გავლენა ვერ მოიდო; იმისათვის კი არა, თითქოს ქართული გონებრივი საგანძური იმდენად თვითარსი დამოუკიდებელი იყოს, იმდენად სიჭარბე-მორეული ორიგინალ ნააზრთა სიმდიდრით, რომ სხვათა ზედგავლენას ორგანიულად ვერ იგუებდეს. დამეთანხმებით, რომ არა ამისთვის. მიზეზი სხვაგან სძევს.

ს. კ—დია.

საუბარი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილთან

— ჭეშმარიტადაც დიდათ საჭიროა ჩვენმა პრესსამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ეცადოს, როგორათაც კი ეს შესაძლო იქნება, გააცნოს საზოგადოებას ადგილობრივ სახელმწიფო მართველთა შეხედულობა კავკასიის და კერძოთ საქართველოს სხვა და სხვა შინაურ საჭირბოროტო საკითხზედ,— მიპასუხა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა, როდესაც-მე შევსვლის უმალ განუმარტე მიზანი ჩემი მასთან მისვლისა და საზოგადოთ ჩვენი სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილება შესახებ იმისა, რომ გაზეთის მოვალეობაა დრო და დრო ინახულოს როგორც ჩვენი საზოგადო მოღვაწენი, ისევე მთავრობის წარმომადგენლები და ამცნოს ყველას თუ რას ფიქრობენ და ან რის მოლოდინი შეიძლება ვიქონიოთ.

— ახლა ისეთი დროა,—განაგრძო თავ. ჩოლოყაშვილმა,—რომ ყოველი ჩვენი საზოგადო მოღვაწე თავის ხალხის ინტერესების ფხიზელი დარაჯი უნდა იყოს. სულ მცირე ხნობით საქმის მივიწყება-მიყუჩებას ძალიან დიდი ზიანის მოტანა შეუძლიან საზოგადოებისათვის. მით უმეტეს ეს საშიშოა ჩვენთვის, ქართველებისათვის. უკვე დარაზმული, პოლიტიკურად მომწიფებული, დანაშაულობაა, რითაც-კი, შეიძლება და ვისაც-კი შეუძლიან არ მიჰხედოს, გულისყური არ ათხოვოს და გზა არ გაუკაფოს ეროვნულ-კულტურულ განვითარებისათვის. ყოველი ფხიზელი ხალხი, გონივრულად უკვე მომზადებული და მასთანვე საზოგადოებრივ და სახელმწიფო უფლებებს მოკლებული ეჭვიანია, მოუთმენელი და ჩქარი.

ჩვენი ქართველობაც გრძნობს შემოქმედებით ძალას, სურს კიდევაც უფრო გაშლილი, თავისუფალი ასპარეზი მოქმედებისათვის და როცა მას ხელს არ უწყობენ, პირიქით წინაც ელობებიან, შფოთავს იგი, გუნება ეკარგება და მის ლტოლვილებას ელვარება აკლდება. დამეთანხმებით, რომ ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელთათვის აუცილებლივ საჭიროა ყველაფრის ამის ცოდნა, საჭიროა ჩვენი ხალხის როგორც ბუნების, ისევე მისი კულტურულ და პოლიტიკურ მდგომარეობის გათვალისწინება, რადგან ხშირად მთელი სახემწიფო მართვა-გამგეობის დებულებანი სულ სხვა გვარ, ჩვენთვის უცხო ნიადაგზედ შენდება. სახელმწიფო მართველი უნდა გვიცნობდეს ჩვენ, იცნობდეს ჩვენს სურვილს, გაჭირვებას და მისწრაფებას. უამისოდ შეუძლებელია სახელმწიფო მოქმედება, უნაყოფო იქნება მისი ღვაწლი და შრომა. მაგ. მოგეხსენებათ, რომ მეფის ნაცვლის კანცელარიაში ამზადებენ მასალას ერობის შესახებ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყველა ეს მასალა თავდაპირველად ადგილობრივ უცოდინარ პატარა მოხელეთა მიერ გროვდება. წარმოიდგინეთ, რანაირი სინამდვილე იქნება იქ დაცული? აი რატომ არის საჭირო, რომ ჩვენ აუცილებლივ ვიდვათ თავზედ ეს მოვალეობა და როდესაც კი შეძლება გვექნება გავაცნოთ ნამდვილ ჩვენ მდგომარეობას ის პირნი, ვისაც ძალუძს დღევანდელ დღეს ჩვენი მხარის მოწყობა-მოგვარიანება.

პირადათ მე, როდესაც თბილისის სათავად-აზნაურო წინამძღოლის მოვალეობას ვასრულებდი, რამდენჯერმე ვინახულე მეფის ნაცვლის თანაშემწე თავ. ორლოვი სწორედ ამ მოსაზრებით.

— ბატონი ბრძანდებით,—მიპასუხა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა, როდესაც მე ვთხოვე გადმოეცა ჩემთვის, თუ რის შესახებ ჰქონდათ მათ საუბარი, როდესაც თავ. ორლოვი ინახულეს.

— დიდხანს ბ დალაგებით ჩვენ უპირველესად, ვილაპარაკეთ ერობაზედ კავკასიაში. მე განუმარტე ჩემი შეხედულობა ამ ფრიად დიდს რეფორმაზედ და თანაც ვსთხოვე, რომ იმ მასალასთან ერთად, რომელსაც კანცელარია ამზადებს, ცალკე ჩვენი, თავად-აზნაურობის შეხედულობაც შეეტანათ. მეფის ნაცვალის თანაშემწემ გრ. ორლოვმა ამ ჩემს თხოვნას სიამოვნებით დამსთანხმდა და მასთანვე განკარგულება მოახდინა, რომ ყოველივე მასალა უკვე შეგროვილი ჩემთვის გამოეგზავნათ გასაცნობად. მასალა მართლაც მომდიოდა. რასაკვირველია, როცა დრო იქნება ჩვენს ამ მასალას გავეცნობით და ჩვენ აზრსაც ცალკე დაურთებთ.

ამით დასრულდა ჩვენი საუბარი. მართლაც საჭიროა ვისაც ძალუძს გააცნოს, როგორც თვით მეფის ნაცვალს, ისევე მის თანაშემწეთ ჩვენი კუთხის ნამდვილი მდგომარეობა და მასთანვე დაიცვან ჩვენი ხალხის ინტერესები სადაც კი ეს შესაძლებელია. ეს ყველას ვალია, ვისაც კი გული შესტკივა.

ჯუანშერ.

სამკურნალო დახმარების საჭიროება

სენაკის განყოფილებისაგან შემდეგი შინაარსის შუამდგომლობა მოუვიდა ქართულ საქველ. საზოგადოების მთავარ გამგეობას: დაბეჯითებით გთხოვთ, რაც შეიძლება დააჩქაროთ შუამდგომლობა ქალაქთა ანუ საერობო კავშირის წინაშე საავადმყოფოს, დროებით მაინც, გახსნის შესახებ. ხალხის მასსიურმა დამშევამ ისეთი ნიადაგი მოუმზადა სხვა და სხვა სახის ავადმყოფობას, რომ მდგომარეობა საშიშია. არსაიდან არავითარი დახმარება არ არის. მდგომარეობა საშინლად გაამწვავა იმ გარემოებამაც, რომ აუარებელი დაჭრილი და ავადმყოფობის გამო დროებით განთავისუფლებული ჯარისკაცნი, პირდაპირ, უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან. გადმოხიზნულთ რომ თავი დავანებოთ, მათთვისაც არავითარი წამალი, არავითარი საექიმო დახმარება არ არსებობს. გთხოვთ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოთ. ყოველივე დაყოვნება უზომო მსხვერპლს შეიწირავს.

კოოპერატიული სასადილოები

20 ამა თვეს კავკასიელ ქალთა საზოგადოების თაოსნობით შესდგა კრება, რომელსაც დაესწრო 50 ქალი და კაცი. კრებას თავმჯდომარეობდა ქ-ნი ნინო ნაკაშიძე. კრების საგანი იყო გამოერკვია, თუ რამდენად საჭიროა ამ ჟამად დაარსება თბილისში საამხანაგო სასადილოებისა. აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ნათელჰყო, რომ ასეთ სასადილოების დაარსება ფრიად საჭიროა ეხლანდელ პირობებში, რადგან ამგვარი სასადილოები ერთობ შეუმსუბუქებს ხარჯს გაჭირვებულ ხალხს. კრებამ აირჩია 9 კაცისაგან კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს წესდება მოსადილეთა ამხანაგობისათვის. კომისიის მუშაობას საფუძვლად დაედვა შემდეგი პირობები: 1) სასადილოები უნდა გაიხსნას საშუალო შეძლების ხალხისათვის; 2) მოსადილეთა ამხანაგობაში წევრებად მიიღებიან ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების შვილნი, რომელნიც კი მოისურვებენ; 3) სასადილოებით ისარგებლებენ მხოლოდ ამხანაგობის წევრნი; 4) კომისიამ უნდა გამონახოს სასადილოებისთვის შესაფერისი ადგილები; 5) პირველი სასადილო გაიხსნება მაშინ, როც ამხანაგობის წევრთა რიცხვი ასი მაინც გახდება; 6) პირველადვე თითო წევრმა უნდა გადაიხადოს საქმის მოსაწყობად 15 მანეთი.

სათათბიროს დღიური

სათათბიროს საბიუჯეტო კომისიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯ-აღრიცხვის განხილვის დროს დაესწრო თვით მინისტრი ხვოსტოვი.

მინისტრი. თუმცა ავადა ვარ, მაგრამ მაინც მოველ თქვენთან და მზათა ვარ ჩემს თანაშემწეებთან ერთად განმარტება მოგცეთ ყველა შეკითხვაზე.

სავენკო. რამოდენიმე შეკითხვას აძლევს შინაგან საქმეთა მინისტრს. როგორც ვიცით ხვოსტოვმა თავდაპირველადვე განაცხადა, ყოველ საშუალებას იხმარებს, სანამ ომია რუსეთში, პარტიულ ბრძოლას ალაგი არ ჰქონდესო. მიზანი ყველასათვის ცხადი იყო. ეტყობა, მინისტრს აზრათ ჰქონდა, ამით ჩვენში ერთსულოვნობა გამეფებინა. მაგრამ ნამდვილათ ეს ასე არ მოხდა. რუსეთში მრავალი გაზეთი გამოდის მთავრობის დახმარებით. ყველა ეს გაზეთები მხარს უჭერენ მთავრობის პოლიტიკას. მასთანვე ვინ არ იცის, რომ სწორედ ესენი იწყებენ პარტიულ ბრძოლას. მთავრობაც საქვეყნოდ აცხადებს, რომ უნდა მოისპოს პოლიტიკური ბრძოლა და ამავე დროს თვითონვე არღვევს თავისვე გადაწყვეტილებას.

მეორე შეკითხვა. მინისტრმა ნება არ დართო გამართად საქალაქო და საერობო ყრილობები. მთავარ მიზეზად წამოყენებულია მოსკოვის არა ნორმალური მდგომარეობა, შიში, ვითომდა შესაძლებელი იყოს მოსკოვში არეულობა მომხდარიყო. ამავე დროს კი სხვა და სხვა ქალაქებში გაიმართა მემარჯვენეთა ყრილობები. თუ რა შინაარსის რეზოლიუციები იქნა გამოტანილი ამ ყრილობებზე ეს ხომ ყველამ კარგად იცის!

მესამე შეკითხვა: ხვოსტოვმა თავდაპირველადვე განაცხადა: ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების მომხრე ვარ, ნამდვილად კი პრესა საშინელ დღეებს განიცდის. თანაც მინისტრი ყველაფერს სამხედრო ცენზორებს აბრალებს, უკანასკნელნი კი მთავრობას. ზავის შესახებ ხომ ხმის ამოღებაც კი აკრძალულია.

მინისტრმა ხმა არ ამოიღო ორ პირველ შეკითხვებზედ. რაც შეეხება პრესის მდგომარეობას განაცხადა, რომ ომის დროს ფრიად საზარალოა საერთოდ ზავზედ მსჯელობაო. მე დარწმუნებული ვარ ყველა ნამდვილი მამულიშვილი ამაში დამეთანხმებაო.

ალექსანდროვი. შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის მიმდინარეობას არა დროს არა ჰქონია ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც დღეს. 17 თვეა რაც რუსეთი ომობს. ყველა გრძნობს, რომ საჭიროა შეკავშირდეს ყველა ძალები, შეიქმნას ერთი სული და გაღვივდეს ხალხში მამულიშვილობა. თქვენ კი ამას ხელს კი არ უწყობთ, პირიქით არაფერს ზოგავდით, რომ ხალხის სულიერი აღფრთოვანება დაგეხშოთ. ვისთვის არის ყველა ეს სასარგებლო. მხოლოდ ჩვენი მტრებისათვის, რომელნიც ჰფიქრობენ სეპარატიულ ზავისათვის შესაფერი პირობები შეჰქმნან.

მინისტრი. მე მიკვირს, ვინ არიან ის პირნი, რომ ასეთ ცრუ ხმებს ავრცელებენ. სეპარატიულ ზავის შესახებ არსად ხმა არავის ამოუღია.

როდზიანკო. აქ მინისტრმა განაცხადა, სეპარატიულ ზავზედ ხმა არავის ამოუღიაო. ეს სინამდვილეს მოკლებულია. თვითონ მე მივიღე წერილი თავად ვასილჩიკოვის ქალისაგან, სადაც მთხოვს დავეხმარო სეპარატიულ ზავზედ მოლაპარაკების დროს. ეს სამარცხვინო წერილი მინისტრ საზონოვს გადავეცი. მალე თვითონ ვასილჩიკოვის ასულიც ჩამობრძანდა პეტროგრადში და, რასაკვირველია, თავის განზრახვის აღსრულებას შეუდგებოდა.

მინისტრი. მართალია ვასილჩიკოვის ასული ჩამოვიდა პეტროგრადში. ჩვენ მას მიუჩინეთ მზვერავები, რომელნიც თვალს ადევნებდნენ ვისთან ჰქონდა ხოლმე მას მისვლა-მოსვლა. როდესაც ყველაფერი გამოვარკვიეთ, ვასილჩიკოვის ასული გადავასახლეთ რუსეთის შიდა გუბერნიაში.

ჩხეიძე. საბუთებით ამტკიცებს, რომ გადასახლებულთა მდგომარეობა უფრო ცუდი შეიქმნა. გახშირდა აგრედვე დევნა მუშათა პროფესიონალურ კავშირებისა და ორგანიზაციებისა. სანამ ეს სამინისტრო იქნება სათავეში სახეიროს საზოგადოებისათვის ვერაფერს ვერ გააკეთებს.

მინისტრი. ჩვენ, როგორც იცით, ნება დავრთეთ მუშებს ჰყოლოდათ თავიანთი წარმომდგენელი სამხედრო სამრეწველო კომიტეტში. მიუხედავათ იმისა, რომ კომიტეტში არჩეული არიან მთავრობის მოწინაამდეგე პირები, ჩვენ მათ წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიგვიღია, საზოგადოთ რეპრესიები მუშათა წინააღმდეგ საგრძნობლად შესუსტდა.

შინგარევი. ჩვენი დამარცხება გალიციაში უკვე მომზადებული იყო მაშინ, როდესაც სათათბირო მეორეთ შეიკრიბა, მუშაობა განაახლა, მაგრამ ნამდვილი საქმის მდგომარეობა კი დაუმალეს. ამის შემდეგ ყველა მთავრობის მოხელეები ისევ თავთავის ალაგებზედა სხედან.

მილიუკოვი. მინისტრმა თავდაპირველათვე განაცხადა, რომ იგი ყოველთვის პარტიის გარეშე იდგება. მისმა მოქმედებამ კი სულ სხვა გვაჩვენა. მან დაადასტურა ყველა მოთხოვნილებები მემარჯვენეთა. მათ მოსთხოვეს, რომ მინისტრმა, როგორც მათის ნდობით აღჭურვილმა ადამიანმა 1) გაჰკიცხოს პროგრესიული ბლოკი. 2) დაითხოვოს და ეცადოს რაც შეიძლება კარგა ხნით გადიდოს სათათბიროს მოწვევა. 3) სდევნოს პრესა, 4) სდევნოს საქალაქო და საერო კავშირები, 5) შეზღუდოს ყოველ მხრივ უცხო ტომნი. განა ეს ყველაფერი გულმოდგინეთ არ შეუსრულა ხვოსტოვმა?

უფასო სასადილო

თბილისის ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს ანგარიში.

დიდი ხანი არ არის, რაც ქართულ გიმნაზიასთან შესდგა წრე, რომელმაც მიზნად დაისახა უსასყიდლოდ აძლიოს სადილი გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთ (ვაჟთა და ქალთ) და ნაყოფი ამ წრის მოქმედების ერთობ თვალსაჩინოა.

როგორც ამ წრის ანგარიში გვიჩვენებს, წარსული წლის იანვარში უსადილნია 2.721 ბავშვს, თებერვალში 2859-ს, მარტში 3143-ს, აპრილში 1987-ს, მაისში 2488-ს, ენკენისთვეში 461-ს, ღვინობისთვეში 2747-ს, გიორგობისთვეში 2547-ს და ქრისტეშობისთვეში 2032-ს, ასე რომ 9 სამოსწავლო თვის განმავლობაში 206 დღეს, წრეს მიუცია ღარიბ ბავშთათვის 20.985 სადილი, ე. ი. დღეში 101,27 სადილი.

სულ შემოსვლია წრეს, გასული წლის განმავლობაში 3.007 მან. 67 კაპ., რაიცა წინანდელ წლის შემოსავლიდან გადანარჩენ 5.135 მან. 43 კაპ. ერთად შეადგენს 8.143 მან 10 კაპ. ამ ფულებიდან წლის განმავლობაში დახარჯულა სულ 2.615 მან. 93 კაპ. და დარჩენილა მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის სულ 5.543 მან. 10 კაპ.

შემოსავალში უპირველესი ადგილი უჭირავს შემოწირულებათ, რომლებიც უდრის 2053 მან. 59 კაპ., საწევრო გადასახადი შეადგენს 673 მან., თანხის პროცენტები 247 მან. 68 კაპ., წიგნებით შეგროვილი 26 მან. 20 კ. და ყულაბებით შეგროვილი 7 მან. 20 კაპ.

შემომწირველთა შორის პირველი ადგილი უჭირავს „ახალ კლუბს"— 600 მან., ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას შეუწირავს 262 მან. 42 კ., ა. გ. მდივანს 150 მან., ა. მ. ბენკენდორფს 100 მან. და ს. ს. ელიაძეს 100 მან. ბევრნი არიან ისეთი პირნი, რომელთაც 100 მანეთზე ნაკლები შეუწირავთ. რამდენიმე ადამიანს სასადილოს სასარგებლოდ სანოვაგეც შეუწირავს, მაგალითად, ბატკანი, ფქვილი, ბრინჯი. ხილი, ხახვი, კომბოსტო, ჭარხალი, კაკალი, ლობიო, შეშა და სხვა.

წასულ კვირას, 20 ამა თვეს, მეორედ იყო წრის წევრთა საზოგადო კრება დანიშნული, მაგრამ კრება ეხლაც არ შესდგა და გაზაფხულისათვის გადაიდვა. ცხადია, კრებაზე მოუსვლელობა საზოგადოების გულგრილობას სასადილოსადმი სრულებითაც არ მოასწავებს, რადგან, როგორც ზემოაღნიშნულ ანგარიშიდან სჩანს, საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეკიდება სასადილოს. მოუსვლელობა იმით აიხსნება, რომ წევრებსა და შემომწირველებს საიმედო ადამიანთა ხელში ეგულებათ გაღებული ფულები.

ლ.

ქართულ სამეურნეო საზოგადოების კრებაზე

კვირას, 20 ქრისტეშობისთვეს კავკასიის საიმპერატორო სასოფ. სამეურნეო საზოგადოების დარბაზში შესდგა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრების გაგრძელება. კრებას თავმჯდომარეობდა თ-დი **დ. ე. ჩოლოყაშვილი.** დაესწრნენ მრავალი წევრი საზოგადოებისა და გარეშე პირნიც. კრებას მოხსენდა საზოგადოებამ სამ მოსამსახურე პირთა დაკლებული ჯამაგირის მიცემის შესახებ, რომელიც 1914 წლის ხარჯთ აღრიცხვაში. კრებამ [illegible] საბჭოს მისცეს ამ სამ პირს ის ჯამაგირი რომელიც მათ 1914 წელს დააკლდათ. შემდეგ ამისა კრება ადასტურებს იყალთოს მამულის პლანის შესწორებას, იქ საცა საჭიროა გეგმის მიხედვით შესყიდვას ან გაცვლას იმ მიწების ნაჭრებისა, რომელნიც იყალთოს მამულის გეგმაში უსწორ-მასწორობას იწვევს.

ხანგრძლივ კამათს იწვევს საკითხი ილიასეულ მამულის (სოფ. საგურამოში) იჯარით აღებისა ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობისაგან.

თ-დი ვლ. დ. ვაჩნაძე. ის რაც უბრალო მომაკვდავზე არ ითქმის ისეთ დიდებულ ადამიანებზე როგორც ილია და აკაკი იყვნენ, საჭიროა მოგახსენოთ. ილიასა და აკაკის ნაანდერძევიც დავალიანებული მივიღეთ და ბანკის უშემოსავლიანო სიათა შორის მოქცეულად. ასე რომ აქ ორნაირი საკითხი იბადება: შევიძინოთ ან შევისყიდოთ ეს მამული თუ არა და თუ ეს მოხდა რა პირობებით შევეკრათ წერა-კითხვის საზოგადოებას. ჯერ-ჯერობით კი, თუმცა მამული არ მინახავს, ვატყობ რომ ეკონომიის მხრივ დიდ მინუსს წარმოადგენს ეს მამული.

ვ. ი. რცხილაძე. დღეს მეტია ამაზე ლაპარაკი, უნდა მომავალმა გამგეობამ შეიმუშაოს პროექტი ამ საიჯარადრო ხელშეკრულობისა, შემდეგ გამართოს მოლაპარაკება წერა-კითხვის გამგეობასთან და შედეგი არაჩვეულებრივ კრებას მოხსენდეს.

ალ. თ. ყიფშიძე. მე მაკვირვებს ზოგიერთთა ლაპარაკი, როცა ამ მამულის მდგომარეობა ხუთი თითივითა მაქვს შესწავლილი. აქ გაისმის ხმები: მამული ზარალს იძლევა, ხელსაყრელი არაა მისი აღებაო. მე კი ვამტკიცებ, ბატონებო, რომ მამული აქ არაფერ შუაშია. გროში კაპიკი წერა-კითხვის საზ. ამ მამულზე არ გადუხდია, პირიქით თვით მამულმა გაისტუმრა ყველა ვალები. 22500 მანეთი თავნი ვალიდან ჩემს ხელში 18 ათას მანეთზე დაიყვანა ვალი. მარტო საფუტკრე 1000 მანეთამდე იძლევა. მთელი ვენახი მოსპეს და ნამდვილი პოგრომი მოახდინეს მამულში და დღეს კი ეს მამული როცა სულ მთლად სუფთაა გადასახადებისაგან და 8 წლის მუშაობა გაგვიწევია ამ მამულში, ეხლა გაიძახიან ხელსაყრელი არაა მისი აღებაო. პირიქით მე ვამტკიცებ, როგორც იყალთოს მამული კახეთის მხრისთვის დიდ მნიშვნელოვანია, მეურნეობის მხრივ ისე საგურამოს მამულს, ისეთი მნიშვნელობა მოელის წინა ქართლისთვის და აქედან შუა ქართლში სამუშაოს გადატანა გაგვიადვილდება. ეს საზარალო კი არა დიდებული მომავალი მოელის. საჭიროა მხოლოდ ცოდნით აღჭურვილ კაცების დანიშვნა ამ მამულში ხელმძღვანელად.

ბ-ნ ყიფშიძის სიტყვა ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს კრებაზედ.

(დასასრული იქნება)

ქართულ საზოგადოების საყურადღებოდ

რუსეთის ყველა ქალაქში მრავლათ იმყოფებიან დაჭრილნი და სნეულნი ქართველნი ჯარისკაცნი. საკუთარ კერას მოშორებულნი, უპატრონო და ავადმყოფნი ისინი ცუდ მდგომარეობაში არიან.

მოსკოვის ლაზარეთებშიც ბევრია ასეთი უჭირისუფლო. ქართველ ახალგაზრდობის ვალი იყო გადმოხვეწილ თანამემამულეთათვის თანაგრძნობის და დახმარების ხელი გაეწია. სტუდენტობამ ეს კარგად გაითვალისწინა და ამ მხრივ შარშან დიდი მუშაობაც გასწია. მაგრამ საზაფხულო კანიკულებში მუშაობა შესწყდა; ჩამოსვლისას ახალგაზრდობამ თავისი ვალი არ დაივიწყა და საქმეს შეუდგა.

მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულმა ქართულ კულტურის მოყვარულთა წრემ კომისია აირჩია, რომელსაც დაჭრილ ქართველთათვის— კულტურული დახმარების აღმოჩენა დააკისრა.

ხსენებული კომისია მიმართავს მთელ ქართველ საზოგადოებას: რედაქციებს, საზოგადო დაწესებულებებს და კერძო პირებს წინადადებით, რომ დაეხმარონ მას საკუთარ გამოცემების, წიგნების, ჟურნალების, ძველი გაზეთების და სხ. უფასო მოწოდებით.

ამით ქართველი საზოგადოება ცოტათი მაინც წყლულს დაუამებს, მალამოს მოსცხებს ბედისგან განწირულ მოძმეთ.

მისამართი: Москва, Поварс ая, д. Суходольскаго О-во Грузинъ.

ქართველ დაჭრილ მეომართა დამხმარე სტუდენტთა კომისია.

წერილები თელავიდან

(საკუთ. კორესპონდენტისაგან)

I

დღემდე მიყუჩებულმა თელავმა დღეს მთელ საქართველოს ყურადღება მიიპყრო. მართლაც ცამეტ ამ თვეს აქ ჩაეყარა საძირკველი იმისთანა დიდებულ საქმეს, რომელმაც მთლად უნდა შესცვალოს ეკონომიური ცხოვრება კახეთისა. ეს საქმე გახლავთ კახეთის საკრედიტო ამხანაგობათა კავშირის დაარსება. ამიერიდან ეკონომიურად დარაზმული კახეთი, ბასრ მახვილით შეიარაღებული, სასტიკ ომს უცხადებს ათას ჯურის ჩარჩ-მოვახშეებს, ამ საქართველოს მეორე ბატონ-პატრონთ, და თავის საქმიანობით ბრწყინვალე მომავალს უქადის მთელ ამ კუთხეს. დიახ, ამ კავშირის დაარსების დღეები ისტორიულ დღეებად უნდა ჩაითვალოს არა მარტო კახეთისთვის, არამედ მთელ საქართველოსთვის, ვინაიდან იმავე დღეს ნიადაგი მოემზადა სრულიად საქართველოს ამგვარ კავშირის დაარსებას.

გვწამს, რომ დღევანდელ მომენტის შეგნება და კავშირის დიდი მიზანი მოსპობს ყოველივე უთანხმოებას და განამტკიცებს წევრთა შორის საჭირო სოლიდარობას, მამულის საკეთილდღეოდ და მტერთა დასაბრმავებლად.

georgien

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი.

ქალაქის გამგეობის მეორე წევრად ასახელებენ ქართულ გიმნაზიის ექიმს ვ. წერეთელს.

ჭიათურა.

ჭიათურაში პირველ საჭიროების სანოვაგე, თითქმის სრულიად მოისპო, ადგილობრივი საავადმყოფო, რომელიც ავადმყოფებით არის გაჭედილი, ყოველდღიურად ავადმყოფთათვის აუცილებელ საჭირო სანოვაგეს ვერ შოულობს.

სოფ. დარჩელი.

სოფელში ძლიერ გავრცელდა ავადმყოფობა. სახადმა ბევრი ახალგაზრდა იმსხვერპლა.

ბაქო.

„გრადონაჩალნიკი“ მარტინოვი მეფის ნაცვლის თანაშემწის ორლოვის უწყებით დაინიშნა ჩერნომორის გუბერნატორად.

განჯა.

მდინარე არაქსის პირას მცხოვრებთ სპარსეთის საზღვრებიდან შემოჭრილი ყაჩაღები მოსვენებას არ აძლევენ, თავდასხმები და მძარცველობა გახშირდა. სოფ. დოვულთან ამას წინად ყაჩაღებმა წაასხეს ცხვრის ფარა რიცხვით 1000 სული სოფ. ამირმურადიდან 585 სული ხშირად ხდება აგრეთვე პოლიციელებსა და ყაჩაღებს შორის იარაღით შეტაკება, მაგრამ პოლიცია დღემდის ვერაფერს გახდა.

ფოთი.

ამას წინად ფოთის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა 100,000 მან. სესხის ნება დაერთოს ქალაქის ვალების სარგებლის გასასტუმრებელად. ფოთის ქალაქის გამგეობის ეს შუამდგომლობა ქუთაისის გუბერნატორმა არ შეიწყნარა.

ქართლი.

ქართლის სოფლებში მეტად ცუდი ამინდია. გამუდმებულმა წვიმა-ნიაღვარმა გააოხრა შემოდგომის ნათესი ჭირნახული.

ხაშური.

13 ამ თვეს აქაურ საკრებულოს დარბაზში ქალთა საპროფესიო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართა საღამო. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო და შემოსავალიც გვარიანი იყო.

ქვემო იმერეთი.

18 ამ თვეს ქვემო იმერეთისკენ ძლიერი წვიმა მოვიდა, რამაც ნიაღვარი გამოიწვია და სადგ. სამტრედიიდან კოპიტნარამდე ნიაღვარმა რკინის გზის ლიანდაგიც გააფუჭა.

სად. სამტრედია.

სამტრედიაში პური და შაქარი აღარ იშოვება. მდაბიო ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის.

ვილჰელმი ვილნოში

(საინტერესო სურათი)

ვარშავის აგონიის დაწვრილებით აღწერას არ მოვყვები. გადავალ 23 ივლისზე. ამ დღეს უკანასკნელი მატარებელი გაჰყავდათ. მეც ერთს მათგანში მოვექეცი. დილის 9 საათი იყო. ჩვენმა ჯარებმა უკვე გავიდნენ და ააფეთქეს ხიდები. როცა ჩვენი მატარებელი დაიძრა გერმანელთა ტაუბე და ცეპელინი გამოჩნდა. ორთავენი ძრიელ დაბლა დაეშვნენ და მატარებელზე ყუმბარები ჩამოჰყარეს. მე დავეცი და გული წამივიდა. მხოლოდ შემდეგ, როცა გამოვერკვიე, გავიგე, რომ ყველა მგზავრები დახოცილიყვნენ, თვით ჩემი 12 წლის ქალიც. მეც მძიმედ დავჭრილიყავი, ყურში და თვალში...

სამი დღის შემდეგ მოველით ვილნოში, სადაც მთელი თვე დავყე საავადმყოფოში. როდესაც ბრძანება გამოვიდა ვილნოს დასაცლელად, მე ჯერ კიდევ ჭრილობისაგან არ ვიყავი განთავისუფლებული. 27 აგვისტოდან რკინის გზა ფაქტიურად შეწყვეტილი იყო. ვისაც სურდა წასვლა, ფეხით მოდიოდა. საზოგადოდ მტრის შემოტევა ისე სწრაფად ხდებოდა, რომ 3 ენკენისთვეში ქალაქი ფაქტიურად გერმანელთა ხელში იყო.

მწვანე ხიდის აფეთქების შემდეგ, რომლის დროსაც საშინელი სისხლის ღვრა მოხდა, გერმანელებმა სწრაფად პანტონის ხიდი გასდეს, ჩვენებმა მალე არტილერიის ცეცხლით ჩაუფუშეს, მაგრამ გერმანელებმა დაუყოვნებლივ მძიმე ზარბაზნები დასდგეს და ჩვენები აიძულეს ჩამოშორებოდნენ მთელს იმ მხარეს. ამ ომის დროს დაინგრა სანაპიროებზე გაყოლებული შენობები, სხვათა შორის გრაფინია ტიშკევიჩის სასახლე და სხვა.

ქალაქის დაჭერა ისევე მოხდა, როგორც ყოველგან. იგივე ჯავშნიან ავტომობილების გრიალი, ცხენოსანთა რაზმების ქროლვა, აღწერა, ჩხრეკა, განცხადებათა გამოკვრა და შემდეგ ვილჰელმის სადღესასწაულო შემოსვლა.

მის ავტომობილის თავზე ოთხი ტაუბე დაჰფრინავდა და ცეპელინიც არწივსავით სდარაჯობდა. მას თავზე ეხურა „სიკვდილის ჰუსართა“ ჩაფხუტი.

მის შესახვედრად სასწრაფო არკები გადაჰკიდეს, დაფნის შტოებით მოფენილი და ვილჰელმის დიდი სურათით. ყოველგან დროშა ფრიალებდა პოლონურ და გერმანულ ენაზე წარწერით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ლიტვის მპყრობელო“!

ქუჩები სავსე იყო ცნობის მოყვარე ხალხით. ტროტუარების გასწვრივ რეზერვისტები იდგნენ და ვილჰელმს ხმა მაღლა უძახოდნენ: „hoch!“ „გაუმარჯოს!“

შემდეგ ვილჰელმმა სიტყვა წარმოსთქვა, „ჩვენ სულით მტკიცენი ვართ და ხორცით ძლიერნი, ამიტომ არავის ვუყვარვართ, მაგრამ გერმანელი ხალხი ყველას თავისუფლებას მოუტანს, ჭეშმარიტ კულტურას“... და სხვა. სიტყვის დასრულების შემდეგ იგი წავიდა და ქალაქს კონტრიბუცია დაადეს.

სომეხთა ცხოვრება

სომეხთა ორგანოებში ამ ჟამად ბევრს სწერენ ქ. თბილისის არჩევნების შესახებ.

— სპარსეთის საზღვრებიდან ახალი სომეხი გამოქცეულები გამოჩნდენ.

— გამოქცეულ და სხვა დაზარალებულ-დარბეულ სომეხთა მდგომარეობის შესახებ სათათბიროდ სომხები ამ მოკლე ხანში ქ. პეტროგრადს შეერთებულ ყრილობას მოიწვევენ.

— როგორც სომხური გაზეთები გადმოგვცემენ დღემდის კავკასიის საზღვრებისთვის თავი შეუფარებია 200 ათას გამოქცეულ სომეხს.

— ოსმალეთის მთავრობამ სტამბოლში ყველა გამოჩენილი სომეხი დაატუსაღა.

მაჰმადიანთა ცხოვრება

ქ. უფაში სამაზრო და საგუბერნიო ერობამ საჭიროდ სცნო სამწლიანი პედაგოგიური კურსები მოაწყოს მაჰმადიანთათვის. კურსებზე 45 სტიპენდია იქნება. თითო სტიპენდიანტს მიეცემა 135 მან. თვეში.

— ქ. ორსკში მაჰმადიან ხმოსნების მეცადინეობით ერობამ 18 ათასი მანეთი გადასდო მაჰმადიანთ შორის საგანმანათლებელო საქმისთვის, აგრეთვე გადაიდო 3,000 მან. ქ. ორსკში მაჰმადიან ქალ-ვაჟთათვის სკოლის მოსაწყობად და 700 მან. რუსულ-თათრულ სკოლის გასახსნელად.

— ქ. ურალში მაჰმადიანმა მოლებმა მეტ ხელმოკლეობის გამო დახმარება ითხოვეს თავის მრევლისაგან. საზოგადოდ მაჰმადიანთა სამღვდელოება დიდ ნივთიერს კრიზისს განიცდის, მათ არ ეძლევათ არავითარი ჯამაგირი, უმეტეს წილად ისინი იძულებულნი არიან საცხოვრებელი წყარო თითონვე გამონახონ.

— 17 ამა ქრისტეშობისთვეს მეფის ნაცვალს წარუდგა ალალას-ბეგ ზულ გადარლოვი.

— კავკასიის სუნიტთა სასულიერო მთავრობა იუწყება, რომ ყუბანის სუნიტთა ყაზი მოლა დამზა-ოღლი თბილისის გუბერნატორმა დანიშნა თბილისის და ქუთაისის სუნიტთა მეჯლისის წარმომადგენლად.

შავრაზმელთა კავშირის დადგენილებანი

ამ დღეებში რუსთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა გამოსცა განყოფილებათა მიმართ შემდეგი დადგენილებანი.

1) ყოველკვირა უნდა იმართებოდეს ფართე სახალხო კრებები. დინჯად და მტკიცედ გაილაშქრონ ხოლმე მემარცხენეთა წინააღმდეგ. მემარცხენეთა მიმართ, უშვერი სიტყვებს ერიდნენ.

2) უფრო მტკიცე რწმენის მემარჯვენენი უნდა ჩაეწერნენ რევოლუციონერთა პარტიებსა და ორგანიზაციებში: მუშათა კავშირებში, ეკონომიურ საზოგადოებაში, სადაც ჩვეულებრივ სოციალ-დემოკრატები მეთაურობენ. თვალყური ადევნონ სარევოლუციო ქადაგებას და რაიმე მავნე რეზოლუციის დადგენის დროს რყევა და იჭვი შეიტანონ დამსწრეთა გონებაში, თუ დადგენილებას სულ ვერ გააუქმებენ.

3) ფიცხელი მეთვალყურობა გაუწიონ საქალაქო და საერობო კავშირებს და მათ რაზმელებს ბრძოლის ასპარეზზე დაბრუნებისას.

4) გუბერნატორებს დახმარება სთხოვონ ხოლმე, ქუჩებში დაწყებულ არეულობის დროს და ხალხს მოუყარონ თავი მეამბოხეთა ასალაგმავად.

5) მთავრობას საქმიანის თავაზიანობით და ღირსეულად მოექცნენ, ხოლო სამეგობროდ ძალიან ნუ დაუახლოვდებიან, რომ მოქმედების თავისუფლება შეინარჩუნონ. უკიდურეს შემთხვევაში მიჰმართონ მათ. დავიდარაბის ატეხას ერიდნენ.

6. ხალხს მიუთითონ, რომ ინტელიგენცია, მდიდრები, მრეწველნი, ბანკები და ებრაელები მოწადინებულნი არიან, ომის მიერ გამოწვეულ რუსეთის უბედურობით ისარგებლონ, რათა ხელმწიფეს თვითმპყრობელობა გამოაცალონ ხელიდან და იგი სათათბიროს უპასუხმგებლო უმრავლესობას ჩააბარონ, საიდანაც აირჩევენ მოსყიდულ მინისტრებს და დეპუტატებს, რათა მათი მეოხებით თავისთვის ხელსაყრელი კანონები გამოაცემინონ, როგორიც არსებობს საფრანგეთსა, ამერიკასა და სხვა საპარლამენტო ქვეყნებში. ამ მუხანათურ საქმეს მხარს უჭერენ ქალაქის საბჭოები, ერობანი და საბირჟო საზოგადოებანი.

7) ხელმწიფეს ეთხოვოს, დანიშნოს ძლიერი ნებისყოფისა და უმტკიცესი მემარჯვენე მინისტრები, მათი ამხანაგნი, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრები და მფარველობა გაუწიოს მან ჯარს და უმაღლესი მთავრობას, მემარცხენეთა შუღლისაგან, განსაკუთრებით ა. ი. გუჩკოვისაგან.

8) თუ არეულობა ქუჩაში გადავიდა, მთელს სახელმწიფოში სამხედრო წესები გამოაცხადოს, დანიშნოს უდრკელი და გაბედული დიქტატორი, დაჰკეტოს ყველა მემარცხენეთა გაზეთები, ხოლო პროვინციის გაზეთები გამომცემელთ ჩამოერთვას და სანდო პირებს ჩაჰბარდეთ.

შემდეგ ჩამოთვლილია გაზეთები: მემარჯვენეებისა: „რუსკოე ზნამია“, „ზემშჩინა“, „პეტროგ. ვედომოსტი“, „გოლოს რუსი“, „მოსკოვსკია ვედომოსტი“, „რუსკი ინვალიდ“ და „არმეისკი ვესტნიკ“.

მარცხნივ გადახრილი: „ნოვოე ვრემია“, „ვეჩერნეე ვრემია“, „კოლოკოლ“ და „სვეტი“.

მემარცხენე გაზეთები: „რუსკოე სლოვო“, „რუსკია ვედომოსტი“, „უტრო როსიი“.

ებრაელთა გაზეთები: „რეჩი“, „სოვრემენნოე სლოვო“, „დენ“-ი, „ბირჟევია ვედომოსტი“, „კაპეიკა“, „სინი ჟურნალ“ და სხვანი.

წინასწარმეტყველება

როდესაც ჰკითხულობ გერმანელ მწერალთა ნაწერებს, გაკვირვებას საზღვარი არა აქვს, რადგან მეტად ზედმიწევნით წინასწარმეტყველობდნენ ამ 30 წლის წინად, თუ მსოფლიო ომი რა სახეს მიიღებდა. თითქმის რომ მათი წინასწარმეტყველება დღეს სრულდება, სჩანს, წინასწარმეტყველები გერმანეთის სამხედრო შტაბთან დაახლოვებულნი იყვნენ და მისი საიდუმლოება იცოდნენ.

1882 წელს კ. ფრანცი „Die Weltpolitik“-ში იმ აზრს ანვითარებს, რომ რუსეთ-გერმანეთის საზღვარმა უნდა გადაიწიოს გროდნასა, ბელოსტოკსა და ბრესტლიტოვსკამდე. იგი ამბობს: როდესაც ომი გამოცხადდება, პრუსიამ უნდა ერთსა და იმავე დროს სამი ძლიერი არმია გაგზავნოს ვარშავასა, ვილნასა და რიგაზე. მთელი ტერიტორია დვინამდე ჯარმა უნდა დაიჭიროს, რათა შერიგების დროს მისი ანექსია მოვითხოვოთ. ამიტომ საჭიროა პრუსიას იერიში თვით მიჰქონდეს დიდის მასშტაბითაო“.

ეგვიპტისკენ გალაშქრება დღეს პირველი ნაბიჯია, რომელიც უკვე რამდენიმე ათეულ წლის წინად ნაწინასწარმეტყველები იყო. პასტორი ნაუმანი 1899 წელს ამბობდა: შესაძლებელია მსოფლიო ომი მაშინ დაიწყოს, როცა ჯერ კიდევ ოსმალეთის სახელმწიფო დარღვეული არ იქმნება. მაშინ სტამბულის ხალიფი ერთხელ კიდევ აიღებს სამღვთო ომის დროშას და მოუწოდებს ეგვიპტეს, სპარსეთს, ავღანისტანს და ინდოეთს „ძირს ინგლისიო“! მეტად საგულისხმოა ვიცოდეთ—ამბობს პასტორი—მხარს ვინ დაუჭერს, როცა მაჰმადიანთა ქვეყნებს ასე რიგად მოუწოდებსო!

მებრძოლი პასტორი განაგრძობს: ინგლისელებისთვის სუეცის არხი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ მთელ მსოფლიოზე იბატონონ. და ის, ვინც მომავალ ომში სუეცის არხში ორ ძველ გემს ჩასძირავს, იგი გადაელობება წინ ძლიერს ინგლისსაო.

სტამბოლიდან მოწოდება უკვე გაისმა და სუეცის არხშიაც უკვე ჩაიძირა ორი ძველი გემი.

როორბახი 1912 წელს სწერდა: გერმანელმა ინჟინრებმა ბაღდადის გზა ისე გაიყვანეს, რომ შემდეგ მისის დახმარებით სირიაში ევროპიულ ოსმალეთიდან, მცირე აზიიდან, კავკასიიდან, მესოპოტამიიდან და არაბეთიდან ჯარს სწრაფად მოუყარონ თავი. გასაგებად რომ ვსთქვათ, ბაღდადის გზას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ეგვიპტეზე გასალაშქრებლად გამოსდგომოდა კაიზერ ვილჰელმს, რომლის გეგმასაც ჯერ კიდევ 1898 წელს აწყობდა.

რუსეთი

გარეწართა ბრბო.

მინსკში თურმე ერთი გარეწართა ბრბო ყოფილა შემდგარი. ამ ბრბოს წევრები მაძიებელ პოლიციელთა სახელით დიდძალ ფულსა სცინცლავდნენ რესტორანებისა, სასადილოებისა და საჩაიების პატრონებს, მუქარით, თუ ამდენსა და ამდენ ფულს არ მოგვცემთ, პასუხისგებაში მიგცემთ მაგარ სასმელების გაყიდვისათვისო. ამ გაქნილთა შორის ორი პოლიციელიც ყოფილა: ერთი უბნის ზედამხედველად ნამყოფი და ერთიც სხვა.

კანონპროექტი კოოპერაციებზედ.

სავაჭრო მინისტრს შახავსკოის შეუმუშავებია ახალი კანონ-პროექტი მომხმარებელ საზოგადოებების შესახებ.

ამ კანონ-პროექტით მომხმარებელი საზოგადოებებს შეუძლიანთ მოაწყონ საკუთარი წარმოება სხვა და სხვა საქონლის დასამუშავებლად და ხელი შეუწყონ გაიტანონ ბაზარზედ ნაწარმოები თავიანთ წევრების დახმარებით. გარდა ამისა კოოპერატივებს ეძლევა უფლება, იზრუნოს ადგილობრივ მცხოვრებთა სულიერ და გონებრივ განვითარებისათვის.

კოოპერაციის წევრებად შეუძლიანთ იყვნენ ორივე სქესის სრულ წლოვანები, სხვა და სხვა საზოგადოებები, არტელები, ამხანაგობები და სხვ. ვაჭრობა შეუძლიან როგორც თავიანთ წევრებთან, აგრეთვე არაწევრებთან. კანტროლს განაგებს, როგორც კოოპერაციის წევრების მიერ არჩეული საბჭო, ისევე მთავრობის წარმომადგენელი. მომხმარებელ საზოგადოებებს შეუძლიანთ შეჰკრან კავშირები. განზრახულია დაარსდეს სავაჭრო სამინისტროსთან კომიტეტი, რომელიც განაგებს კოოპერაციებს.

უცხოეთი

ლლოიდ ჯორჯის სიტყვა.

თავის სიტყვაში ლლოიდ ჯორჯმა სთქვა: „აქ მოსულვარ მთავრობის სახელით და ინგლისელთა ჯარის თხოვნით, რათა ზომები მივიღოთ მძიმე ზარბაზნებისა და იარაღის ჩამოსასხმელად. აქ გვჭირია თქვენი დახმარება“.

როდესაც ლლოიდ ჯორჯმა გაიხსენა, რომ ამის თაობაზე კომიტეტსა სურს მუშების შევსება, მათში 7 ტრედიუნისტიც ურევია, მას სიტყვა შეაწყვეტინეს. „ჩვენ აღარა გვწამს-რა თქვენი ტრედიუნიონისტობისაო“— როდესაც მან დაბეჯითებით მოითხოვა სახელმწიფო ქარხნებისთვის საჭიროა კიდევ 80 ათასი მუშაო, ხელ-ახლა სიტყვა შეაწყვეტინეს:

„თქვენ ვერ მიიღებთ ზედმეტ მუშას“.

— მე აქ მოვსულვარ საჭიროებათა გასაცნობათ. იქნებ ის, ვინც ეხლა სიტყვა შემაწყვეტინა, კეთილს ინებებს და ჩემს მაგიერ გაელაპარაკება 3 ათას ბრიტანელ ჯარისკაცს, რომელნიც ამ ჟამად თხრილებში სხედან. მოვსულვარ აქ, თქვენ უნდა მიიღოთ ეს წინადადება, უნდა მიიღოთ, რადგანაც ამაზეა დამოკიდებული ხსნა სამშობლოსი, ხსნა თქვენი ამხანაგების, თქვენი ცოლშვილისა. არა მსურს დავიჯერო, რომ ინგლისელები ნაკლებ პატრიოტები ვიყვნეთ, ვიდრე ფრანგები, რომელნიც ასე გაათერებით არასა ჰზოგვენ გერმანელთა ჯოჯოხეთურ მანქანის მოსასპობლად! ეს კი შეიძლება მაშინ თუ ჩვენც მას მხარს დაუჭერთ, თუ დროს არ დავკარგავთ... თუ უარს ეტყვით მთავრობას მოწოდებაზე, მაშინ ის-ღა გვშთენია ვუთხრათ ჩვენს მებრძოლთ, რომ იარაღის შოვნა გაგვიძნელდაო, ან და გულახდილად განვუცხადოთ კაიზერს, რომ ბრძოლას ველარ განვაგრძობთ და ომი წაგებულიაო. მაშინ შეიძლება კაიზერი დაკმაყოფილდეს იმით, რომ ბელგეთი შეიერთოს, ჩვენ კონტრიბუცია გადაგვახდევინოს და წაგვართვას ერთი ან ორი კოლონია. მაგრამ ეს რაა, იგი მოგვთხოვს ზღვაზე ბატონობაზეც ავიღოთ ხელი. გსურთ ეს? ყოველისფერი პრუსიის დეპოტიზმს დავუმორჩილოთ?..

არ ვიცი, ყველას ნათლად წარმოდგენილი გაქვთ ამ ომის მნიშვნელობა თუ არა, იგი სტიქიური კატასტროფაა, რომელიც ერთიანად არყევს მთელი ევროპის ძირითად საფუძველს. მაშასადამე, ასეთი ვაჭრობა ყოვლად უადგილოა. მიწის ძვრის წინ ვაჭრობა ზედმეტია, აქ მხოლოდ გატაცებული მუშაობაა საჭირო და თავგანწირული შრომა...

წერილი რედ. მიმართ

ღრმად პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

„თანამედროვე აზრის“ 228 №-ში დაბეჭდილია ქრონიკა: „დასაგმობი საქციელი“, რომელიც დაუმსახურებელ ლაქას სცხებს ჩვენს სახელს. ვინაიდან ზემო აღნიშნულ საღამოს ინციდენტი გამოურკვეველი არ დარჩება და პრესის საშუალებით გამომჟღავნდება ყველაფერი, ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით შეეკითხოთ ბ. ლიბიხის აფთიაქში, აღნიშნულ საღამოის მორიგეს, დაადასტუროს გაზეთში აღნიშნული ცნობა: რავდენათ შეეფერება სიმართლეს.

მატარაძე, მაღლაფერიძე.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან. . 12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათომიდან. 5 ს. 55 წ. საღ
№ 5 ბაქოდან(სწრ.) 7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან. 9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან 6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან 7 ს. 25 წ. დილ.
„ საავ. 10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ 1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ . 7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს(სწრ.) 12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათომისკენ. 8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ 10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ 3 ს. 29 წ. დღ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა დ წნორისკენ დილ. 8 ს. 58
გურჯაანში მიდის ნაშუადღ. 3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის 4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ. 5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის 4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის . . . . . 5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისკენ:

დილის . . . . . . 8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის. . . 10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისკენ გამოდის დილის. . 10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . . 10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის 10 ს. 46 წ.
თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგვინეთუხუცესი
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზაევის შესახვევი № 4.